

GEORGIA
IP
განათლებლო
2014
SPRING
საქართველო

კინო

საერთაშორისო აღიარება

MOVIES

A GLOBAL PASSION




საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრის „საქპატენტი“

პერიოდული გამოცემა

IP საქართველო

გამოდის სამ თვეში ერთხელ

© საქპატენტი, 2014



PERIODICAL PUBLICATION
OF NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY
CENTER OF GEORGIA “SAKPATENTI”

IP GEORGIA

PUBLISHED QUARTERLY

© SAKPATENTI, 2014



ირაკლი ღვალაძე
საკპატენტის თავმჯდომარე
IRAKLI GHVALADZE
SAKPATENTI CHAIRMAN

ძვირფასო მკითხველო,

26 აპრილი ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღეა. ამ დღეს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (ისპო) 2001 წლიდან აღნიშნავს და ყოველწლიურად განსაზღვრავს მასთან დაკავშირებულ თემატიკასა და სლოგანს. წელს ეს დღე მიეძღვნა კინემატოგრაფიას და, შესაბამისად, ამ სფეროში მოღვაწე ადამიანებს, რომლებიც თავისი შემოქმედებით მართლაც საყოველთაო აღტაცებას იწვევენ. ძალიან ზუსტია ამ დღისთვის შერჩეული სლოგანიც – „კინო – საყოველთაო აღტაცება“.

კინემატოგრაფიის თემა ყოველთვის ძალიან მგრძნობიარე და აქტუალური იყო საქართველოსთვის. ქართული ფილმების არქივში ინახება არაერთი ფილმი, რომელმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა როგორც საუკეთესო სარეჟისორო, სამსახიობო, სამხატვრო თუ მუსიკალურმა ნამუშევარმა. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ქართული კინემატოგრაფიის ეს მაღალი სტანდარტი თითქმის არცერთ პერიოდში არ შეცვლილა. საქართველოში იქმნებოდა და იქმნება ძალიან ღირებული და შთამბეჭდავი კინო, რომელიც იმსახურებდა და იმსახურებს მსოფლიო აღიარებასა და არაერთ მნიშვნელოვან ჯილდოს. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ ჩვენი ჟურნალის ეს ნომერი, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღეს ეძღვნება, განსაკუთრებულად საინტერესო გამოვიდა. ამ ნომრის მკითხველს ეძლევა უნიკალური შესაძლებლობა გაეცნოს სტატიებსა და ინტერვიუებს ქართული კინოს ცოცხალ ლეგენდებთან და, ასევე, იხილოს უნიკალური ფოტო მასალა მათი არქივებიდან. ამ ნომერში წარმოდგენილია ვრცელი სტატია საქპატენტის მიერ ახლახან წამოწყებული პროექტის – „IT ინკუბატორის“ შესახებ, რომელიც ახალგაზრდა პროგრამისტებს შესაძლებლობას აძლევს თანამედროვე, კომფორტულ გარემოში შექმნან ახალი პროდუქტი. იმედი მაქვს, რომ „IT ინკუბატორის“ პროექტი, რომელიც სხვა ქვეყნებში არსებული წარმატებული პროექტების ანალოგს წარმოადგენს, საქართველოშიც წარმატებული იქნება.

და ბოლოს, ყველას გილოცავთ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღეს და გისურვებთ დიდ შემოქმედებით წარმატებას!

Dear Reader,

26 April is the World Intellectual Property Day. The World Intellectual Property Organization (WIPO) celebrates this date since 2001 and every year defines the theme and slogan of the day. This year the World Intellectual Property Day is dedicated to cinematography and, respectively, to the people working in this field, who indeed deserve universal admiration by their work. And the slogan *Movies – A Global Passion*, selected by WIPO for this day, is very accurate.

Cinematography has always been a sensitive and relevant issue for Georgia. At the Georgian Film Archives numerous films are preserved which have gained international recognition as the best directing, acting, artistic or musical works. It is extremely important that this high standard of Georgian cinematography was not violated in almost any period and very valuable and impressive films have been created in Georgia, which have deserved world recognition and numerous significant awards. Therefore, it is not surprising that this issue of our magazine, dedicated to the World Intellectual Property Day, turned out to be especially interesting. Readers of this issue are given an opportunity to familiarize with articles and interviews of living legends of Georgian cinema and also see unique photographs from their archives. In this issue a comprehensive article is presented concerning the new project “IT incubator”, recently launched by Sakpatenti, which enables young software developers to create new products in the modern, comfortable environment. I hope that “IT incubator” project, which is an analogue of successful projects existing in other countries, will be a success in Georgia too.

Finally, I congratulate you on the World Intellectual Property Day and wish you success in your creative intellectual activities!

ირაკლი ღვალაძე



მთავარი რედაქტორი

ქეთევან ბოჯგუა

EDITOR-IN-CHIEF

Ketevan Bojgua

სარედაქციო კოლეგია

ირაკლი ღვალაძე, ეკატერინე ეგუტია,
ელენე ქემაშვილი – აღმასრულებელი რედაქტორი,
ანი გობეჩია, ზვიად მათიაშვილი,
რეზო თაბუკაშვილი, გიორგი ქურდიანი

EDITORIAL BOARD

Irakli Ghvaladze, Ekaterine Egutia,
Elene Kemashvili – Executive Editor,
Ani Gobechia, Zviad Matiashvili,
Rezo Tabukashvili, Giorgi Kurdiani

ნომერზე მუშაობდნენ

ქეთევან ბოჯგუა, ნათია ორველაშვილი,
ლიკა ბერაია, სოფო კვინტრადე

AUTHORS

Ketevan Bojgua, Natia Orvelashvili,
Lika Beraia, Sophie Kvintradze

თარგმანი

ანა მეტრეველი, ნათია ალადაშვილი

TRANSLATION

Ana Metreveli, Natia Aladashvili

ფოტო

ვანო ფიცხელაური

PHOTO

Vano Pitskhelauri

ტექნიკური რედაქტორები

ნინო ცუხიშვილი, ნინო ბებრიშვილი

TECHNICAL EDITING

Nino Tsukhishvili, Nino Bebrishvili

კორექტორი

ლალი ჭანტურია

CORRECTOR

Lali Chanturia

დიზაინი და დაკაბადონება

თეონა კერესელიძე

DESIGN AND LAYOUT

Teona Kereselidze

პოლიგრაფიული აგუფი

მიხეილ მეჩიტაშვილი, არსენ ლომიძე, ლალი დოლიძე

POLIGRAPHY TEAM

Mikheil Mechitishvili, Arsen Lomidze, Lali Dolidze

განსაკუთრებული მადლობა

საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის
სახელმწიფო მუზეუმს

SPECIAL THANKS TO:

Georgian State Museum of Theatre, Cinema, Music and
Choreography

სტატიების ავტორებისა და რესპოდენტების მიერ გამოთქმული მოსაზრებები
შესაძლოა არ ემთხვეოდეს სარედაქციო კოლეგიის აზრს.

The views of authors of articles and respondents do not necessarily
reflect the views of the editorial board.

კინო – საყოველთაო აღტაცება
MOVIES – A GLOBAL PASSION

მუნჯი და ხმოვანი კინოს ალქიმიკოსები 4
ALCHEMISTS OF SILENT AND SOUND FILMS

90-იანი წლების თბილისის გრძელი და
ნათელი დღეები 12
TBILISI OF 1990s "IN BLOOM"

გია ყანჩელი – ინტერვიუ ცოცხალ
კლასიკოსთან 28
GIA KANCHELI – INTERVIEW WITH A LIVING
CLASSIC

„მიფრინავენ წეროები“ 34
"THE CRANES ARE FLYING"

მხატვარი კინოში 46
ARTIST IN THE CINEMA

ინტერვიუ თემურ ბაბლუანთან 50
INTERVIEW WITH TEMUR BABLUANI

„მონანიებიდან“ ოსკარამდე –
მერაბ ნინიძის კინოპორტრეტი 68
FROM "THE REPENTANCE" TO OSCAR –
MERAB NINIDZE'S FILM PORTRAIT

იდეების ინკუბატორი 22
IDEA INCUBATOR

ქართული სამეფო შატო 38
GEORGIAN ROYAL CHÂTEAU

ნაბეღლავი – წყალი მარგებელი 56
NABEGHLAVI – HEALTHY WATER

ასოციაციის ხელშეკრულება
ინტელექტუალურ საკუთრებას კიდეც
უფრო დაცულს გახდის 64

ASSOCIATION AGREEMENT MAKES
INTELLECTUAL PROPERTY MORE PROTECTED

დალიე ხილი! გასინჯე ხარისხი! 72
DRINK FRUIT! TASTE QUALITY!

ფრენსის გარის მეორე ვადა 78
FRANCIS GURRY'S SECOND TERM



4



12



22



38

მუნაღი და ხმოვანი კინოს ალქიმიკოსები

ALCHEMISTS OF SILENT AND SOUND FILMS

ნესტან ნენე კვინიკაძე
NESTAN NENE KVINIKADZE

ქართული კინოს ისტორია რამდენიმე აბზაცად

მე კინომცოდნე ვარ და მჯერა ფილმების! ნეტა, მათ თუ სჯეროდათ იმის, რაც ზმანებებისა და ხილვების საუკუნეში, გიორგობის თვის თბილისში ნახეს, დალიანდაგებულ კაბებში გამოწყობილებმა, ხავერდის რედიკულებით ხელში, თამბაქოს მწვეელი მამაკაცების თანხლებით?

სხვანაირად არც იქნებოდა. მსოფლიოში პირველი კინოსეანსიდან ძალიან მალე, ტფილისსაც მოედო ეს ეპიდემია. ლუმერების ფილმების ჩვენება დედაქალაქში 1896 წლის 16 ნოემბერს გაიმართა. ქართული კინემატოგრაფის გაჩენას კი კინოთეატრების შენების და გახსნის ბუმი მოჰყვა: სტაციონარული „ილუზიონის“ შემდეგ იყო მოდერნის სტილის ბათუმის „აპოლო“ და ქუთაისის „მონ პლესირი“, თბილისის „მელენელექტრიკი“, „პალასი“ და იმ პერიოდის ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი კინოთეატრი „აპოლო“.

საქართველოში მოღვაწე პიონერები ისე მიუდგნენ კინოს, როგორც ალქიმიას და მაქსიმალური ექსპერიმენტებით მოულოდნელ შედეგებს მიაღწიეს. ასე მივიღეთ ჯერ პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი – ვასილ ამაშუკელის „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ (1912წ.), შემდეგ – პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი – ალექსანდრე ნუნუნავას „ქრისტინე“ (1916წ.). გაჩნდა პროფესია პროდიუსერიც. გერმანე გოგიტიძე პირველი ქართველი პროდიუსერია, ალექსანდრე დილმელოვი კი – ყველაზე პროდუქტიული პირველი კინოოპერატორი.

ქალაქში არტისტული ცხოვრება დულდა. ამას ისიც ამბავრებდა, რომ 20-იან წლებში საქართველოში რუსეთის იმპერიიდან ხალხი გამოვრბოდა. რუსული ავანგარდი და მოდერნიზმი ფიროსმანის „გრაფიტის“ ფონზე ღვიოდა... ამ დროისათვის ყველა მაგარ ქართველ პოეტს უკვე დაწერილი აქვს მაგარი ლექსები, გურჯიევი საეჭვოდ დაქრის აქეთ-იქით, ამო ბეკ-ნაზაროვი კი ე.წ. დვარცოვზე, შინმანის ფოტოატელიეს ფირნიშზე ნატო ვაჩნაძის ფოტოს პოულობს. კითხვა-კითხვით თავად გიორგი ანდრონიკაშვილის და პოლონელი ეკატერინე სლივიცკაიას ქალიშვილს გურჯაანში პოულობენ. ქართულ კინოში ეპოქა იწყება...

A COUPLE OF PASSAGES ABOUT THE HISTORY OF GEORGIAN CINEMA

I am a film critic and I believe in movies! I wonder if they believed in what they saw in the century of dreams and visions, in Tbilisi of November, wearing quilted dresses with velvet clutches in their hands, and accompanied by men smoking tobacco.

It would not have been otherwise. From the very first screening of a movie, soon the epidemic spread over to Tiflis. The film of the Lumiere Brothers was shown in Tbilisi on November 16, 1896. Creation of Georgian cinematography was followed by an explosion in building and opening of movie theatres: stationary *Illusion* was followed by a modern-style *Apollo* in Batumi and *Mon Plaisir* in Kutaisi, *Melenelektriki*, *Palace* and one of the biggest movie theatres in Europe at that time *Apollo* in Tbilisi.

Georgian cinema pioneers treated cinema as alchemy, achieving unexpected outcomes with maximum experiments. This is how we got first Georgian full-length documentary *Akaki's Travel to Racha Lechkhumi* (1912) by Vasil Amashukeli, followed by the first Georgian full-length fiction *Christine* (1916) by Aleksandre Tsutsunava. Profession of a producer was introduced. Germane Gogitidze is the first Georgian producer, while Aleksandre Dighmelovi- the first most productive cameraman in Georgian cinema.

Artistic life was flourishing in the city, further intensified by the fact that people were escaping to Georgia from the Russian Empire in the 1920s. Russian avant-garde and modernism were kindling amid Pirosmiani's *Graffiti...* The greatest Georgian poet had already written his greatest poems; Gurjiev was suspiciously swishing from one place to another; AmoBek-Nazarov had found Nato Vachnadze's photo on the so-called *Dvartsov*, on the sign board of Shikhman's photo atelier; the daughter of Prince Giorgi Andronikashvili and Ekaterine Slivitskaya of Poland was found in Gurjaani. The epoch is about to start in Georgian cinema... Silent movies where speaking is done through eyes begin to write filmography together with Nato Vachnadze. To be more

თვალეებით ამეტყველებული მუნჯი კინო ნატო ვაჩნაძესთან ერთად იწყებს ფილმოგრაფიის წერას, უფრო სწორედ კი, ნატო ვაჩნაძე, ნიკოლოზ შენგელაიასთან და მის თანამოაზრეებთან ერთად ქართული კინოს პიონერებისგან სადავეებს იბარებს და თამაშიც იწყება!

1928 წელს შენგელაია „ელისოს“ იღებს. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობის ეკრანიზაციაში ასახულია დრამატული ისტორია: მეფის რუსეთის მცდელობა, მშობლიური მიწიდან აჰყაროს თავისუფლებისმოყვარე ჩეჩენი ხალხი. თურქეთისაკენ განდევნილი ადამიანების ტრაგედიის ფონზე, ჩეჩენი ელისოსა და მოხვეე ვაჟიას სასიყვარულო ისტორია იწყება. მათი ბრძოლა გადაარჩინონ სოფელი და შეინარჩუნონ მიჯნურობა წარუმატებლად მთავრდება.

წარუმატებლად მთავრდება ფილმის ბედიც. ის ცალსახად ანტირუსული პროდუქტი იყო და, შესაბამისად, ეჭვქვეშ აყენებდა რეჟისორის სამომავლო კარიერას და არამხოლოდ კარიერას. რეაბილიტაციისთვის შენგელაიას სხვა ჟანრის ფილმების გადაღებაც უწევდა. თუმცა, ეს კიდევ ცალკე თავია ქართული კინოს ისტორიაში: შემოქმედებს უწევდათ თამაში და თვალთმაქცობა – პროპაგანდისტული პროდუქტების ხარჯზე შეექმნათ შედეგები.

ნიკოლოზ შენგელაიას „ელისო“ და მიხეილ კალატიშვილის „ჯიმ შვანთე“ იმდენად მნიშვნელოვანი ნამუშევრებია, რომ ევროპის სხვადასხვა კინოსკოლის,



„ელისო“ (1928). რეჟისორი: ნიკოლოზ შენგელაია; მთავარ როლებში: კირა ანდრონიკაშვილი, კოხტა ყარალაშვილი

“Eliso” (1928). Director: Nikoloz Shengelaia; Starring: Kira Andronikashvili, Kokhta Karalashvili





„ჯიმ შვანთე“ /მარილი სვანეთს/ (1930).
რეჟისორი: მიხეილ კალატოზიშვილი;
სცენარის ავტორი: სერგეი ტრეტიაკოვი;
დამდგმელი მხატვარი: დავით კაკაბაძე

“Jim Shvante” /Salt for Svaneti/ (1930).
Director: Mikheil Kalatozishvili;
Screenplay: Sergey Tretiakov;
Production design: Davit Kakabadze

მონტაჟის შესწავლის კურსებში სწორედ ეს ფილმებია ჩართული.

1930 წელს ჩვენ უკვე გვქონდა პირველი ანიმაციური ფილმი – ვლადიმერ მუჯირის „გაზაფხული“. ორ წელიწადში კი პირველი ხმოვანი მხატვრული ფილმიც გამოჩნდა.

მარჯანიშვილი, ბარსკი, პერესტიანი – ქართული კინოს ისტორიის განუყოფელი სახელებია.

ქართულ კინოს ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, დავით კაკაბაძე და სხვა გენიოსი მხატვრები ხატავდნენ.

კოტე მიქაბერიძემ, ირაკლი გამრეკელთან ერთად, შექმნა ავანგარდულ ფარსად წოდებული კინოშედევი „ჩემი ბებია“ (1929წ.), რომელიც, ცენზურის გამო, თითქმის ნახევარი საუკუნით შემოიფარგნა თაროზე. ფილმი „ჩემი ბებია“ მსოფლიო კინოს ოქროს ფონდშია შესული.

აკრძალული იყო, ასევე, მიხეილ კალატოზიშვილის „ლურსმანი ჩექმაში“ (1931წ.), წლების შემდეგ კი კალატოზიშვილის „მიფრინავენ წეროები“ კანის კინოფესტივალის მთავარ ჯილდოს მოიპოვეს (1958წ.).

მაგრამ ეს უკვე სხვა დროა.

სხვა დროა არა მხოლოდ ქართული კინოსთვის და საქართველოსთვის, არამედ მსოფლიოსთვის. სტალინი მოკვდა!

exact, the reins of Georgian cinema are now in hands of Nato Vachnadze, Nikoloz Shengelaia and other persons having similar ideas and the game begins!

In 1928 Shengelaia shot *Eliso*. Screening of Aleksandre Kazbegi's tale was a dramatic story about an attempt of tsarist Russia to displace the freedom loving Chechen people from their homeland. The love story of Chechen Eliso and Mokheve Vazhia begins amid the tragedy of the people banished to Turkey. Their struggle to save the village and keep their love ends unsuccessfully.

The film's fate was also unsuccessful. It was a clearly anti-Russian product, calling in question the future career of the director and not only that. Shengelaia had to make other types of movies for rehabilitation, but this is a quite different chapter in the history of Georgian cinema: movie makers had to play and pretend – create masterpieces at the expense of propagandist products.

Nikoloz Shengelaia's *Eliso* and Mikheil Kalatozishvili's *Jim Shvante* are such important works that they are included in a number of European cinema schools' curricula for editing classes.

In 1930 we already had our first animated film – Vladimer Mujiri's *Spring*. After two years the first Georgian sound film was made.

პროპაგანდისტული ფილმებით დაღლილ ქართულ კინოში ახალი თაობა მოდის. კინოსტუდიას სათავეში ჩაუდგა ფილოლოგი, გერმანისტი და მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ კვესელავა.

60-იანელებმა ქსოვილივით დაგრიხეს კინოენა და ყველამ თავისი ინდივიდუალური სტილი გამოძერწა.

ყურადღების ცენტრში მოექცა ოთარ იოსელიანი: „ეს არ იყო ანტისაბჭოთა ფილმები, მაგრამ ეს ფილმები ისეთ განწყობას ქმნიდნენ, თითქოს საბჭოთა ხელისუფლება საერთოდ არ არსებობდა“.

მოსკოვი მიხვდა, რომ ეს უბრალო მოვლენა არ იყო. პროცესი მიდიოდა...

ტყუილის ქვეყანას მიხეილ კობახიძე მისტიურ და უხმო შავ-თეთრ ესთეტიკას უპირისპირებდა... მალევე კანის კინოფესტივალზე თენგიზ აბულაძის და რეზო ჩხეიძის „მაგდანას ლურჯა“ საპატიო ჯილდოს იღებს. ელდარ და გიორგი შენგელაიების კინოშედეგებს ხალხი ზეპირად ციტირებს, სერგო ფარაჯანოვი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. სამოციანელთა საუნდრეუკი აკვირატებადი და საყვარელია. ის გია ყანჩელია, მთელი ქართული კინომუსიკის ავტორი. გია ყანჩელის სიმფონიები „ოქროს პალმის რტოს“ მფლობელი, ამერიკელი ტერენს მალიკის „სიცოცხლის ხეშიც“ გვხვდება.

ტყუილის ქვეყანა ვახსენეთ ზემოთ. უფრო აბსურდის ერთ დღეს, კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტის სტუდენტებმა, მათ შორის მიხეილ კობახიძემ, თავი-

Marjanishvili, Barski, Perestian are the names that are indivisible from the history of Georgian cinema.

Lado Gudiashvili, Elene Akhvlediani, David Kakabadze and other genius artists painted for Georgian cinema.

Kote Mikaberidze and Irakli Gamrekeli created a masterpiece called avant-garde farce, *My Grandmother* (1929). Because of the censorship it was put away on the shelf for almost half a century. It is now included in the golden collection of the world cinema.

Mikheil Kalatozishvili's *Nail in a Boot* (1931) was also prohibited. After some years Kalatozishvili's *The Cranes are Flying* won main award of the Cannes film festival in 1958.

But these are different times.

Different times not only for Georgian cinema but for Georgia as well and for the world. Stalin died!

A new generation appeared in Georgian cinema, exhausted by propagandist movies. The movie studio was headed by a philologist, specialist of the German language, doctor of sciences Mikheil Kveselava.

The generation of the 1960s twisted and rolled the language of cinema like fabric and each molded his own individual style.

Otar Ioseliani was now in the focus of attention: "these movies were not anti-Soviet but they created a mood in which Soviet authorities did not exist at all."



„მაგდანას ლურჯა“ (1955). რეჟისორები: თენგიზ აბულაძე, რეზო ჩხეიძე; მთავარ როლებში: დუდუხანა ნეროძე, ლიანა მოისნრაფიშვილი, მიხო ბორაშვილი

“Magdana’s Donkey” (1955). Directors: Tengiz Abuladze, Rezo Chkheidze; Starring: Dudukhana Tserodze, Liana Moistsrapishvili, Mikho Borashvili

„ჩემი ბებია“ (1929). რეჟისორი: კოტე მიქაბერიძე; მთავარ როლებში: ალექსანდრე თაყაიშვილი, ბელა ჩერნოვა

“My Grandmother” (1929). Director: Kote Mikaberidze; Starring: Aleksandre Takaishvili, Bela Chernova





ანთი ფილმები მოიკითხეს. პასუხი კი ერთობ ექსტრავაგანტული იყო: სახელმწიფოს ვერცხლი დასჭირდა და გადავადნეთო.

სამოციანელებმა რენესანსის ეპოქა შექმნეს და დაიშალნენ. კობახიძეს მრავალწლიანი შემოქმედებითი პაუზა დაუდგა. იოსელიანი პარიზში იღებს „მთვარის ფავორიტებს“...

1981 წელს ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ, როგორც იცოდა ხოლმე, ინფანტილური როლი მოირგო, მიხეილ კობახიძე დაიბარა და უთხრა: „ოღონდ დაინყე მუშაობა და რაც გინდა, ის გადაიღე. თუ სურვილი გაქვს, შეგიძლია გადაიღო ანტი-საბჭოთა ფილმი, ვილაცამ ხომ უნდა თქვას სიმართლე?!“

შევარდნაძე და კობახიძე ვერ თანხმდებიან. ამასობაში კი, ქართულ კინოში მოდიან „კინო ხულიგნები“ – თემურ ბაბლუანი, ტატო კოტეტიშვილი, ნანა ჯორჯაძე, დიტო ცინცაძე, ლევან ზაქარეიშვილი, გოგიტა ჭყონია, ალექო ცაბაძე...

„ლაქა“, „ანემია“, „უძინართა მზე“ – კინოენის ფლობა და ტექნიკის ცოდნა, ანარქისტული სულისკვეთება, მემბოხე გმირების მცდელობები და გულზე მჯილის ცემა საკმარისი არ აღმოჩნდა მოახლოებული საფრთხის შესაჩერებლად. ქვეყანას ძვირი უჯდება დამოუკიდებლობა.

მალე საბჭოთა კავშირი კომუნალური ბინებიანად დაემხო. საქართველოში ზედიზედ სამმა ომმა მთლიანად

„უძინართა მზე“ (1992). რეჟისორი: თემურ ბაბლუანი; მთავარ როლებში – დავით კაზიშვილი, ელგუჯა ბურდული
 „The Sun of the Sleepless“ (1992).
 Director: Temur Babluani;
 Starring: Davit Kazishvili, Elguja Burduli

Moscow realized that it was not just a simple event. The process was further unfolding...

The country of lies was resisted by Mikheil Kobakhidze's mystic and silent black and white aesthetics. Soon *Magdana's Donkey* by Tengiz Abuladze and Rezo Chkheidze won honorary award at a film festival; people quoted masterpieces of Eldar and Giorgi Shengelaia and Sergo Parajanov was in the center of world's attention. People are obsessed and in love with the soundtrack of the 1960s. It is by Gia Qancheli, author of the Georgian cinema music. Gia Qancheli's symphonies have won the Palm d'Or and been used in Terrence Malick's *The Tree of Life*.

We have mentioned the country of lies but it was more like the country of absurd. One day students of the Cinematography Union Institute, including Mikheil Kobakhidze asked for their films only to receive a rather extravagant response: the state needed silver and we melted them.

The prominent people of the 1960s created the epoch of renaissance and left. Kobakhidze was going through a lengthy pause in creativity while Ioseliani was making *Moon's Favorites* in Paris.

მთარყია ქვეყნის ეკონომიკა. ვისაც გასაყიდი ნივთი ჰქონდა, გარეთ გაჰქონდა და საჭმელზე ცვლიდა. კინოსტუდიებში ჯარის აგროვებდნენ. მთლიანად ჩამოიშალა წარმოება და ქართული კინო, უბრალოდ, მთელი თავისი ისტორიით, თაროზე შემოიღო.

გაგრძელდა მხოლოდ ამ ისტორიის სწავლება თეატრისა და კინოს ინსტიტუტში (ამჟამად – თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი). კინორეჟისორების და ოპერატორების ახალმა თაობამ, რომელიც გადასაღებ მოედანზე არ იყო ნამყოფი, ხელნაკეთი კინოინვენტარითა და საკუთარი მინიმალისტური ბიუჯეტით, პატარა ფილმების გადაღება დაიწყო. ამ დროისთვის, ფილმები უკვე კომპიუტერში მონტაჟდებოდა და გახმოვანების ხელოვნებასაც ციფრული საშუალებები ჩაენაცვლა.

იმედები დიდი იყო, საუკუნე მთავრდებოდა და ახალი ინცებოდა.

სწორედ ამ დროს, დედაქალაქში ხმა გავარდა – 16 წლის ნუცა კუხიანიძე, ნანა ჯორჯაძის „კულინარის 1001

„შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი“ (1996) – ოსკარის ნომინანტი. რეჟისორი: ნანა ჯორჯაძე; მთავარ როლებში: პიერ რიშარი, რამაზ ჩხიკვაძე, კახი კავსაძე, მარინა კახიანი

“1001 Recipes of a Cook in love” (1996) – nominated for Oscar. Director: Nana Jorjadze; Starring: Pierre Richard, Ramaz Ckhikvadze, Kakhi Kavtsadze, Marina Kakhiani

In 1981, First Secretary of the Central Committee Eduard Shevardnadze slipped into an infantile role like he used to, summoned Mikheil Kobakhidze and told him: “Please, start working and you can make anything you want. You can even make an anti-Soviet movie if you want to. Someone must tell the truth, right?!”

Shevardnadze and Kobakhidze could not reach an agreement. In the meantime Georgia’s “cinema hooligans” appeared: Temur Babluani, Tato Kotetishvili, Nana Jorjadze, Dito Tsintsadze, Levan Zakareishvili, Gogita Chqonia, Aleko Tsabadze...

Spot, Anemia, the Sun of the Sleepless, mastery of the cinema language and technique, anarchist spirit, efforts of rebellious heroes and pounding of chest with a fist proved insufficient to intercept the looming threat. The country was paying a lot for its independence.

Soon the Soviet Union collapsed together with its communal apartments. Three back-to-back wars in Georgia left the country’s economy in shambles. People sold everything that they had, exchanged it for food; they started collecting scrap metal in movie studios. The industry was ruined and the Georgian cinema with its history was simply put away on the shelf.

But they continued to teach the history at the Institute of Theatre and Cinema (currently the State



კვილა ფოტო: საქორიველოს თეატრის, კინოს მუსიკისა და კორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი
ALL PHOTOS: Georgian State Museum of Theatre, Cinema, Music and Choreography

რეცეპტის“ ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ, ჰოლივუდში ინყებს მოღვაწეობას. ნუცას ერთბაშად ყველა მისი წინამორბედი მსახიობი ქალის ოცნება უხდება: ლაჟვარდოვანი ლოს-ანჯელესი, ნიცას სანაპიროზე მონყობილი კინოპავილიონი; პარტნიორები – ნიკ ნოლტი და ჯერემი აირენსი; კინოფესტივალები; ფოტოსესიები და რეცენზიები წამყვან საერთაშორისო კინოჟურნალებში: მან კინოში ჯულიეტას ლიმილი დააბრუნაო, – ნერდნენ.

ჰოდა, ისევ ქალები, როგორც მეოცე საუკუნის ეკონომიკის განმსაზღვრელები, კინოს სისხლის გადამსხმელებიც ისინი აღმოჩნდნენ, ცხადია, საქართველოს ეროვნული კინოცენტრის ხელშეწყობით.

ქეთი მაჭავარიანი, თამარ შავგულიძე, რუსუდან პირველი, რუსუდან ჭყონია, ნანა ექვთიმიშვილი, სალომე ჯაში და თინა გურჩიანი – ის რეჟისორები აღმოჩნდნენ, ვისი კინოსურათებიც ოფიციალურ თუ არასაკონკურსო სექციებში იმ კინოფესტივალებზე იღებენ მონაწილეობას, რომელთა „ფილმოგრაფიაშიც“ ქართული პროდუქტი უკვე წლებია არ დაფიქსირებულა.

ბერლინალე, სანდენსი, კარლოვი ვარი, ვენეცია, ვისბადენი, კოტბუსი, მონპელიე, ტოკიო.

კანის კინოფესტივალზე საკუთარ პავილიონს საქართველო ყოველწლიურად წარმოადგენს და, შესაბამისად, სხვადასხვა აქტივობებით მსოფლიო კინოს ცხოვრებაში თავის ადგილს იბრუნებს. თუმცა, ცხადია, არამხოლოდ ქალბატონების ხარჯზე. ლევან კოლუაშვილის „შემთხვევითი პაემნები“, ბოლო დროის საუკეთესო კინოპროდუქტია, რომელმაც სულ ახლახან აიღო სტარტი „ა“ კლასის კინოფესტივალებზე სამოგზაუროდ.

ტოტალური კრიზისიდან 20-23 წლის შემდეგ, საქართველომ კინოპავილიონის ფუნქციაც შეითავსა და უმასპინძლა მსოფლიოში აღიარებულ ისეთ რეჟისორებსა და მსახიობებს, როგორიცაა: ვენსან კასელი, მიშელ ჰანავეიჩუსი, ბერენის ბეჟო, შარლოტა გინსბურგი, მეთიუ მაკფადენი.

ქართული კინოს ისტორია უფრო საინტერესო, დრამატული, სევდიანი, თავგადასავლებით სავსე და ინსპირაციულია, ვიდრე ამას რამდენიმე გვერდიან სტატილაში მოჰყვები.

ამ ისტორიას ჰყავს გმირები, რომლებიც საკუთარ თავს და ქვეყანას ყოველთვის ევროპის ნაწილად მიიჩნევდნენ. შესაბამისად, ქართული კინოც მსოფლიო კინოს ფეხდაფეხ ვითარდებოდა და არ ჩამორჩებოდა მას შემოქმედობითობით, კინოვარსკვლავებით, მხატვრებით, კომპოზიტორებითა და აღქმიმკოსებით, ვინც ყველაფერი გააკეთეს ამისთვის. დანარჩენი კი, ალბათ, გარდაუვალი იყო: კრიზისული პერიოდი, ჩავარდნები, წაგებაც და უძრაობის ხანაც... გარდაუვალი იყო, რადგან ერთ დღესაც 4-მილიონიანმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა აირჩია.

University of Theatre and Cinema). The new generation of directors and cameramen who had not even been to a movie set, started making short films with the use of hand-made equipment and their own minimalist budget. At that time, films were edited in computer and the art of dubbing was replaced by digital means.

The hopes were high at the turn of a new century.

It was the time when rumors started in Tbilisi that 16-year old Nutsa Kukhianidze was moving to Hollywood after Nana Jorjadze's *1001 Culinary Recipes* came out. For Nutsa the dreams of all her predecessor actresses came true: blue skies of Los Angeles; movie pavilion on the coast of Nice; Nick Nolte and Jeremy Irons as co-stars; film festivals, photo shoots and reviews in leading international film magazines. They wrote that she had brought back the smile of Juliet to cinema.

In this way, women, as detractors of the 20th century economy, also turned out to be the “new blood” in the cinema, but certainly with the help of the Georgian National Cinema Center.

Keti Machavariani, Tamar Shavgulidze, Rusudan Pirveli, Rusudan Chkonia, Nana Ekvitishvili, Salome Jashi and Tina Gurchiani were the directors whose films were presented at official or unofficial sections of film festivals in whose “filmography” had not included a Georgian product for a long time.


Berlinale, Sundance, Karlovy Vary, Venice, Wiesbaden, Cottbus, Montpelier, Tokyo.

Georgia has its own pavilion at the Cannes Film Festival annually, getting its own place back in the world cinema by various activities and not only at the expense of women. Levan Koghuashvili's *Accidental Dates* is the best of the latest cinema products that recently started its travel at Class A film festivals.

After 20-23 years following the total crisis Georgia served as a cinema pavilion by hosting the world-renown directors and actors including Vincent Cassel, Michel Hazanavicius, Bérénice Bejo, Charlotte Gainsbourg, Matthew Macfadyen.

The history of Georgian cinema is far more interesting, dramatic, sad, adventurous and inspirational than it is possible to convey in several pages.

The history has its heroes who have always viewed themselves and the country as a part of Europe. Therefore, Georgian cinema was developing side by side with the world cinema, never staying behind by its creativity, movie stars, artists, composers and alchemists who did their best. The rest was probably inevitable: the crisis, the gaps, the loss and the era of immobility were inevitable because one day a four-million country chose to be independent.



ფოტო: shutterstock.com
Photo: shutterstock.com

საავტორო უფლება COPYRIGHT

90-იანი წლების თბილისის „გრძელი და ნათელი დღეები“

TBILISI OF 1990s “IN BLOOM”

სოფო კვინტრადე

SOPHIE KVINTRADZE



„ორი ახალგაზრდა გოგონას დრამატული ისტორია, რომლებიც თავიანთი საზოგადოებრივი მდგომარეობითა და ხასიათით განსხვავდებიან. მათი განსხვავებული ბედისწერის ფონზე კი, ქვეყნის ისტორიის საოცარი სოციალური პორტრეტი იხატება“, – ასე აღწერს „გრძელ ნათელ დღეებს“ ჟურნალი „VARIETY“.

„გრძელი ნათელი დღეები“ ინგლისური სახელწოდებით „In Bloom“ თანამედროვე ქართული კინოს ძალიან წარმატებული მაგალითია. 2013 წლის თებერვლიდან მოყოლებული დღემდე ის 80-ზე მეტი ქვეყნის კინოფესტივალზე აჩვენეს. არაერთ პრესტიჟულ კინოფესტივალზე მიღებული ჯილდოს გარდა, ფილმი კინოგაქირავებაშიც წარმატებული აღმოჩნდა. „გრძელი ნათელი დღეები“ საქართველოს გარდა, კინოეკრანებზე ფართო მაყურებელმა უკვე ნახა ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, ბელგიასა და ჰოლანდიაში. სულ ახლახან მისი პრემიერა ლონდონში შედგა. „გრძელი ნათელი დღეებით“ საზეიმოდ გაიხსნა კინოფესტივალი „Birds Eyeview Film Festival“. მაისიდან კი ფილმი დიდი ბრიტანეთის კინოთეატრებშიც გავა.

„საქართველოში კინემატოგრაფისტების ახალი თაობა იჩენს თავს, რომელიც, ამჯერად, ფოკუსირებას საკუთარი ქვეყნის ისტორიაზე ახდენს. „გრძელი ნათელი დღეები“ ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმია, რომელიც ქართული კინოს ტრადიციების გაცოცხლების მცდელობით, ერთ რიტმულ კინემატოგრაფიულ კომპოზიციის ქსოვილში აერთიანებს ძალადობის მძვინვარებასა და იდილიის შეგრძნებას, ნაადრევ ცივისსხლიანობასა და ბავშვურ ნაივობას...“ – ეს არის ამონარიდი ბერლინის კინოფესტივალის ოფიციალური პრესრელიზიდან.

ფილმმა წარმატებული სტარტი აიღო 2013 წლის 10 თებერვალს, როდესაც „გრძელი ნათელი დღეების“ პრემიერა ბერლინალეს ფორუმის ოფიციალურ პროგრამაში შედგა. ბერლინში ფილმმა არტ-ჰაუსის კინოთეატრების საერთაშორისო

“An intimate drama about two very young women destined by differences of class and character for very different fates, and also a portrait of a fascinating period in the country's social history” – this is an abstract from “Variety” magazine's review of “In Bloom”.

“In Bloom” is a very successful example of a Georgian movie. Starting from February 2013, the movie has been screened at more than 80 film festivals throughout the world. In addition to a number of awards that it has won at prestigious film festivals, it also showed an impressive box office results. In addition to Georgia, “In Bloom” has been seen by viewers in the United State, France, Belgium and Holland. It was recently premiered in London. “In Bloom” solemnly opened the Birds Eye View Film Festival and it will be screened in British cinemas starting from May.

“A new generation of filmmakers that has emerged in Georgia is starting out by remembering the history of its own country. This first feature film by Nana Ekvtimishvili and Simon Groß takes up the buried traditions of Georgian cinema, weaving together loud and soft, melancholy and missing love, eruptions of violence and a sense of the idyllic, precocious cold-bloodedness and child-like naiveté into a wonderful rhythmic, exciting cinematic composition...” – this is an excerpt from official press-release of Berlinale Film Festival.

The film started out successfully on February 10, 2013, when it was premiered in frames of the official program of Berlinale Forum. It won the Prize of the Guild of German Art House Cinemas

ასოციაციის პრიზი დაიმსახურა და 50 შერჩეულ ფილმს შორის გაიმარჯვა. ამის შემდეგ, „გრძელი ნათელი დღეების“ შემოქმედებითი ჯგუფი არაერთხელ გახდა პრესტიჟული კინოფესტივალის ტრიუმფატორი, მაგალითისთვის მხოლოდ რამდენიმეს ჩამოთვლაც კი საკმარისია: ჰონგ-კონგის, მილანის, მონრეალის, სარაევოს, პარიზის, ტოკიოს, ვისბადენის, ლოს-ანჯელესის, თბილისისა და სხვა საერთაშორისო კინო ფესტივალები. „გრძელი ნათელი დღეები“ ეროვნულმა კინოცენტრმა წლევანდელი ოსკარის საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციისთვის კანდიდატ ფილმად წარადგინა. ფილმს ამერიკელი კინოკრიტიკოსები ხუთეულში მოხვედრას უწინასწარმეტყველებდნენ, თუმცა, ფილმი საბოლოოდ ნომინაციაზე ვერ მოხვდა.

ფილმი ერთნაირად ალაფრთოვანებს როგორც მაყურებელს, ისე კრიტიკოსებს. ისტორია, რომელიც საინტერესო აღმოჩნდა მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტის მაყურებლისთვის, 90-იანი წლების საქართველოში ხდება. ორი თინეიჯერი გოგონას მეგობრობის ამბავი, მათი მშობლების ტრაგიკული ყოფა და ბრძოლა გადარჩენისთვის, 90-იანი წლების საქართველოსთვის დამახასიათებელი ყველა სირთულე. ეს არის ფილმი პატარა გოგონების პიროვნებებად ჩამოყალიბების შესახებ, ისევე, როგორც ამბავი ქვეყნისა, რომელიც ნანგრევებიდან სახელმწიფოდ უნდა ჩამოყალიბდეს. საგაზეთო მიმოხილვებში, რომელიც ფილმის შესახებ უცხოურ პრესაში იწერებოდა, ხშირად ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ რეჟისორმა ფილმის ამბავი საკუთარ გამოცდილებასა და მოგონებებს დააფუძნა. ნანა ექვთიმიშვილი 90-იანი წლების თბილისში გაიზარდა, მან შესანიშნავად მოახერხა, სიყალბის და ზედმეტი სენტიმენტების გარეშე, ჩვენი ახლო წარსული ეჩვენებინა. ეკას და ნათიას ცხოვრებაში ბევრი ტრაგიკული რამ ხდება, მაგრამ ფილმი „გრძელი ნათელი დღეები“ მაინც ისეთივე ნათელია, როგორც უნდა იყოს ყველა ბავშვის მომავალი.

and was chosen as the best among 50 selected films. Afterwards, the creative crew of “In Bloom” triumphed at Hong-Kong, Milano, Montreal, Sarajevo, Paris, Tokyo, Wiesbaden, Los Angeles, Tbilisi and many other international film festivals. . The national film center nominated “In Bloom” for the best foreign film. US critics thought it would be in the top five but eventually, the film was not included in the final nomination.

Both critics and viewers are equally fascinated by the movie. The story that arouse interest in viewers from almost all over the world takes place in the 1990s Georgia. The story of two teenage girls, tragic lives of their parents and the struggle to survive, all the difficulties that characterized Georgia in the 1990s. This is a movie about coming of age of two little girls and the story of the country striving to become a state from ruins. In newspaper reviews of the film in foreign press it is often highlighted that the director based the story on her own experience and her memories as a young girl. Nana Ekvitishvili grew up in Tbilisi in the 1990s. She was successfully able to show our recent past in a way that is not phony or too sentimental. Many tragic things happen in lives of Eka and Natia, but the film remains as bright as all the children’s future is supposed to be.

ეს არის ფილმი პატარა გოგონების პიროვნებებად ჩამოყალიბების შესახებ, ისევე, როგორც ამბავი ქვეყნისა, რომელიც ნანგრევებიდან სახელმწიფოდ უნდა ჩამოყალიბდეს.

This is a movie about two little girls coming of age and the story of the country striving to become a state from ruins.





IP „გრძელი ნათელი დღეები“ თქვენი პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმია და ის ძალიან წარმატებული აღმოჩნდა როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. როგორ ფიქრობთ, რა ფაქტორებმა განაპირობა ფილმის წარმატება?

– ეს, პირველ რიგში, იმ ადამიანების დამსახურებაა, ვინც ამ ფილმზე იმუშავა. ასევე, ვფიქრობ, რომ ფილმის ისტორიამ დიდი როლი ითამაშა. მაყურებელმა გმირებთან და დროსთან იდენტიფიცირება მოახდინა, საქართველოში და საქართველოს გარეთაც.

IP როგორ გაჩნდა ფილმის სცენარის იდეა?

– ვიდრე სცენარზე ან ფილმზე დავიწყებდი ფიქრს, წარსულზე და იმ დროზე ვფიქრობდი, რომელშიც მომინია ცხოვრება. შემდეგ გაჩნდნენ კონკრეტული პერსონაჟები, რომელთაც სხვადასხვა სიტუაციებში ვხედავდი. ამ დროს საქართველოში არ ვცხოვრობდი და ვფიქრობ, რომ ამით მსურდა იმ დროში დავბრუნებულიყავი. დავბრუნებულიყავი იმიტომ, რომ გამეგო თუ რა გადახდა მაშინ 90-იანებში, რა გადახდა ჩემს ქვეყანას, ან ჩემს მეგობრებსა და ოჯახს. ვფიქრობ, რომ ამ დისტანციამ ჩემში ბევრი რამ გააცოცხლა და არ მომცა ამ ყველაფრის დავიწყების საშუალება.

IP "In Bloom" is your first full-length movie that turned out to be quite successful, both in Georgia and abroad, in a number of foreign countries. What do you think was the reason of the success?

– First and foremost it is owing to the people who worked on the film. I also think that the movie plot also played a big role in its success. Viewers could identify themselves with characters and that particular period of time, both in Georgia and abroad.

IP How was the idea about the screenplay conceived?

– Before I started thinking about the screenplay or the film, I thought about my past and the period of time where I had to live. Afterwards, concrete characters appeared, who I envisioned in various situations. I was not living in Georgia at that time and I thought that this was my way of going back in time. I wanted to go back to find out what happened to me in the 1990s, what happened to my country or to my friends and my family. I think that the distance kept a lot of things alive in me not allowing me to forget it.





IP ფილმი გერმანელ რეჟისორთან სიმონ გროსთან ერთად გადაიღეთ, როგორ დაინტერესეთ გერმანელი ხელოვანი საქართველოს 90-იანი წლების ამბებით. მოგვიყევით, როგორი იყო სიმონ გროსის პირველი რეაქცია, როდესაც ის სცენარს გაეცნო?

– ეს თავისთავად მოხდა. მანამდეც გვიმუშავია ერთად. ყოველთვის ვუზიარებთ ერთმანეთს ჩვენს ნაწერს, სცენარს ან იდეას. ამიტომ, სიმონი სცენარის შექმნიდანვე ჩართული იყო პროცესში და წაიკითხა თუ არა, მაშინვე გაჩნდა იდეა, რომ როგორც რეჟისორებს ერთად გვემუშავა. რაც შეეხება მის რეაქციას სცენარის წაკითხვისას, მახსოვს, რომ მასზე ძალიან იმოქმედა, იმის განცდა დაეუფლა, რომ რეალობას და რაღაც ნამდვილს, განცდილს ეხებოდა.

IP თქვენ 90-იან წლებში გაიზარდეთ. ფილმში მოთხრობილი ამბები ასახავს იმ რეალობას, რაც ამ პერიოდის საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს კარგად ახსოვთ. ეს ფაქტორი ხშირად არის აღნიშნული უცხოური მედიის რევიუებში. როგორ გეხმარებოდათ გადაღებების პროცესში თქვენი ემოციური კავშირი ფილმში აღწერილ დროსთან?

IP You made the film in collaboration with German director Simon Gross. How did you manage to awake the interest of German filmmaker in stories of the 1990s in Georgia? Tell us what was the first reaction of Simon Gross when he read the screenplay?

– It happened naturally. We had worked together before. We always shared with one another our sketches and ideas about a screenplay. Therefore, Simon had been involved in the process from the very outset and as soon as he read it, he had an idea for us to collaborate as the directors. As to his initial reaction when reading the screenplay for the first time, I remember that it touched him very deeply. He thought that he was experiencing something real, something genuine, something he had already experienced.

IP You grew up in the 1990s. Stories from the film depict the reality that people living in Georgia in that time remember quite well. This factor has often been highlighted in reviews by foreign media. In what ways did your emotional ties with that period of time help you in the process of shooting?



– თავად გადაღების პროცესში, ნაკლებად. იმ დროს იმ ემოციურ კავშირს იმდენად ვერ იყენებ, ამის დრო არაა. ემოციური კავშირი უფრო მოსამზადებელ პერიოდშია მნიშვნელოვანი, თავისთავად, სცენარის წერისას, ასევე, მხატვრებთან მუშაობისას. ფილმის მხატვართან კოტე ჯაფარიძესთან და კოსტიუმების მხატვართან მედეა ბაქრაძესთან ერთად ხშირად ცოცხლდებოდა ის დრო და ის განცდები, რადგან მათთან ერთად იქმნებოდა ის გარემო, რომელშიც ჩვენი გმირები ცხოვრობდნენ.

IP *ფილმში მთავარ გმირებს თინიფერი გოგონები განასახიერებენ, ისინი არაპროფესიონალი მსახიობები არიან. როგორ შეარჩიეთ მარი ბოკერია და ლიკა ბაბლუანი და როგორი იყო მათთან მუშაობა?*

– ვიმუშავეთ არაჩვეულებრივ კასტინგის რეჟისორთან ლელი მიმინოშვილთან ერთად. თითქმის ერთი წელი გვქონდა კასტინგი და ერთმანეთთან მუდმივი დიალოგი. ლიკა სკოლაში ვიპოვეთ, მარი ქუჩაში დავინახეთ. ორივე თავიდანვე ძალიან მოგვეწონა, მაგრამ არ ვჩქარობდით. ვიდრე როლზე დავამტკიცებდით, მათთან მარტო ერთი და ორი შეხვედრა არ გვქონია, ეს იყო მრავალი შეხვედრა და სინჯი, რომლებიც რამდენიმე თვის განმავლობაში გრძელდებოდა. ჩემთვისაც და სიმონისთვისაც ლიკასთან მარისთან და, აგრეთვე, ყველა სხვა მსახიობთან მუშაობა უდიდესი სიამოვნება იყო. შეიძლება ითქვას, რომ რეპეტიციების დროს ჯერ ერთად გადავიღეთ მთელი ფილმი, კამერისა და ჯგუფის გარეშე. მერე ისინიც დაგვემატნენ და გადავიღეთ ფილმი ხელმოკრედ და უფრო სრულყოფილად.

– Not very much during the shooting, as this is the time when can't really think of my emotional ties for the lack of time. Emotional ties are important during preparatory stage, certainly, when writing a screenplay and also when working with the designers. Together with the "In Bloom's" production designer Kote Japaridze and costume designer Medea Bakradze we often revived the time and the emotions back then by creating the environment in which our characters were living.

IP *Leading roles in the movie are played by teenage girls, amateur actors. How did you cast Mari Bokeria and Lika Babluani and what was it like to work with them?*

– We worked with an amazing casting director Leli Mim-inoshvili. The casting was going on for almost a year and all that time we were in a constant dialogue. We found Lika in school and saw Mari in the street. We liked them both very much right from the beginning, but we took our time. We had more than one or two meetings with the girls before we approved them for their respective roles. We had multiple meetings and tests that continued for months. Both for me and Simon, working with Lika and Mari as well as with all the other actors was the greatest pleasure. I can honestly say that during rehearsals we made the whole firm together, without the camera or the crew. Later they joined us and we made the movie again, this time - more improved.



„გრძელი ნათელი დღეები“ 80-ზე მეტ კინოფესტივალზე აჩვენეს და არაერთი საერთაშორისო პრემიის ლაურეატი.

“In Bloom” has been screened at more than 80 film festivals throughout the world and has won many international awards.

Sarajevo
Film Festival
16-24 / August
/2013 HT ERONET

Sarajevo
Film Festival
16-24 / August
/2013 HT ERONET

Sarajevo
Film Festival
16-24 / August
/2013 HT ERONET



IP ფილმის ვიზუალური სტილისტიკა ძალიან შთამბეჭდავი და რეალისტურია, რაც 90-იანი წლების საქართველოს საოცრად ნათელ სურათს ქმნის. გვიამბეთ ოპერატორზე ოლეგ მუტუზე, როგორ დაანახეთ მას 90-იანი წლების საქართველო?

– ოლეგს პირველად ბუქარესტში შევხვდით. დავინწყეთ საუბარი ფილმზე და ის ორი დღე ვიდრე ბუქარესტში ვიყავით არ გავჩერებულვართ. ვისაუბრეთ საქართველოზე, რუმინეთზე, გერმანიაზე, უამრავ რამეზე. ოლეგმა ბევრი რამ იცოდა საქართველოზე, მაგრამ აქ ნამყოფი არ იყო. ზოგადად მან ძალიან კარგად იცოდა, თუ რა იყო 90-იანი წლები პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის.

როცა ჩამოვიდა მხატვრებთან ერთად გადასაღები მოედნები ვანახეთ. აქ კიდევ უფრო დავრწმუნდით, რომ ნამდვილად გვესმოდა ერთმანეთის, ჩვენი ხედვა ემთხვეოდა. მაშინ კასტინგის პერიოდი გვქონდა, ის ერთ-ერთ კასტინგსაც დაესწრო, რომ ერთმანეთის მუშაობის სტილი გვეგრძნო.

ოლეგი ის ოპერატორია, რომელიც არსებით შიგნიდან ხედავს და არა გარედან. 90-იანი წლების საქართველოს ის, როგორც მე და სიმონი, პერსონაჟების საშუალებით ხედავდა. გადასაღები მოედანი და ლოკაციებიც უმნიშვნელოვანესია, თუ ოპერატორს კარგ ობიექტს არ შესთავაზებ, მას ფაქტიურად ხელ-ფეხს უკრავ. თუმცა, ობიექტებიც, ჩვენს შემთხვევაში, გმირიდან გამომდინარეობდა და არა ჩვენი ზოგადი წარმოსახვიდან 90-იანი წლების შესახებ, ამაზე ყველა ერთი აზრის ვიყავით, მე და სიმონიც, ოლეგიც და ჩვენი მხატვრებიც.

IP Visual stylistic of the film is very impressive and realistic, creating amazingly clear picture of the 90s Georgia. Tell us about the cinematographer, Oleg Mutu, how did you show him the 90s Georgia?

– We met Oleg in Bucharest for the first time. We started talking about the film and we never stopped during two days that we spent in Bucharest. We talked about Georgia, Romania, Germany, a lot of things. Oleg knew so much about Georgia but he had never been there. In general, he knew very well what the 90s were like for post-soviet countries.

When he arrived in Georgia together with artists, we showed him movie sets and realized that we really understood each other; we had similar visions. We were casting at that time and he attended one of the casting sessions, which helped us to understand each other's work ethics.

Oleg is a cinematographer, who captures what's important from the inside, not from the outside. Like me and Simon, he saw the Georgia of 1990s through characters. Movie sets and locations are also very important. If you don't offer the right set and the right location to your director of photography, you are essentially limiting his options. However, it was all based on characters and not on our vision of the 1990s. In this regard, we held the same views – Simon, Oleg, our artists and me.

IP ბევრი საინტერესო რევიუ დაინერა „გრძელ ნათელ დღეებზე“. ერთ-ერთ სტატიაში, მაგალითად, ჟურნალში "Variety" ავტორი ამბობს, რომ თქვენს ფილმში ორი თინეიჯერი გოგონას დრამატული თავგადასავალი არის იმ პერიოდის საქართველოს სოციალური ისტორიის ერთგვარი პორტრეტი. ეთანხმებით ამ შეფასებას? ეს იყო თქვენი მთავარი სათქმელი?

– კი, ნამდვილად ასეა. თუმცა, წერის და მუშაობის დროს არანაირად დიდ და ამბიციურ იდეებს არ ჩაეჭიდებივართ, ეს კინოს არ სჭირდება. საკმარისია იცნობდე და გრძნობდე შენს გმირს. დანარჩენი თავისთავად ხდება. ალბათ, სათქმელია ის, რომ მეთქვა ის, რაც ვიგრძენი და ჩემი თვალთ ვნახე.

IP ბევრი საერთაშორისო პრიზის მფლობელი გახდით, რომელია თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ჯილდო?

– ყველა ჯილდო მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით გვიხარია მარის და ლიკას ჯილდოები საუკეთესო სამსახიობო შესრულებისთვის, რაც მათ მოიპოვეს სლოვაკეთში, ოდესაში და სარაევოში. მართლა დიდი სიხარული იყო, როცა ეს ორი პატარა გოგო, პროფესიონალ და მსოფლიოში ცნობილ მსახიობს უწევდა კონკურენციას და მათ გაიმარჯვეს! ასევე, ძალიან გაგვიხარდა ბელგიაში მოპოვებული პრიზი მხატვრების მთელი ჯგუფისთვის.

IP ფილმის პრემიერა ბერლინალეს ერთ-ერთ სექციაში, ფორუმზე გაიმართა, სადაც მან არტ-ჰაუსის კინოთეატრების საერთაშორისო ასოციაციის პრიზი დაიმსახურა. ელოდით ასეთ წარმატებას პრემიერისთანავე და თანაც ბერლინის კინოფესტივალის ფორუმზე, სადაც ქართული ფილმი მრავალი წელი არ ყოფილა?

– არა, ასეთ წარმატებას ნამდვილად არ ველოდით. ვიცოდით, რომ ფილმი მოსწონდათ, ბევრი კარგი გვესმოდა პრემიერამდე იმ ადამიანებისგან, ვინც ფილმი ნახა, მაგრამ პრემიერამ და ხალხის რეაქციამ ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა.

IP "In Bloom" had a lot of interesting reviews. One of them published in "Variety" magazine said that the dramatic story of two teenage girls is also a portrait of a specific period in the country's social history. Do you agree with this opinion? Is this what you were trying to convey?

– Yes, it is true. However, during the process of writing and working we did not have any high ambition ideas. A film does not need such ideas. It is sufficient to be able to feel and know your character. The rest happens itself. The most important thing to say was probably what I felt and what I saw with my own eyes.

IP You have won a number of international awards, which one is the most important for you?

– All the awards are important. We are particularly happy about the awards that Mari and Lika won for best performing actresses in Slovakia, Odessa and Sarajevo. It was a great pleasure indeed to see these two girls competing side by side with other, professional and internationally renowned actors, and they won! We were also very happy about the award that our whole crew of artists won in Belgium.

IP "In Bloom" was premiered in frames of one of Berlinale's sections, in a forum where it won the Prize of the Guild of German Art House Cinemas. Did you expect such a success at the opening and more importantly, at the Berlinale forum where it has been many years since the last Georgian film was shown?

– No, we did not expect that it would be so successful. We knew that they liked the film and a lot of good things were said before the premier from people who saw the movie, but the premier and the way the audience reacted exceeded our expectations.





IP ეროვნულმა კინოცენტრმა „გრძელი ნათელი დღეები“ ოსკარის საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის კატეგორიაში მოსახვედრად წარადგინა, თუმცა, საბოლოოდ ნომინანტთა სიაში ფილმი ვერ მოხვდა. თქვენი აზრით, რატომ არის ეს ფილმი საინტერესო უცხოელებისთვის – ამერიკელებისთვის, ევროპელებისთვის? რა იზიდავთ მათ „გრძელ ნათელ დღეებში“?

– ვფიქრობ, რომ მათ ფილმის გმირები და ისტორია იზიდავთ. ის, თუ რას განიცდის გმირი, მისი მიმართება სამყაროსთან და სხვა ადამიანებთან. მათ ამ პერსონაჟების სჯერათ და მათ გრძნობენ.

IP გვიამბეთ თქვენ შესახებ, როგორც ვიცით რამდენიმე წელია გერმანიაში ცხოვრობთ, სადაც დაამთავრეთ კინოაკადემია. რა გავლენა მოახდინა თქვენზე, როგორც კინოხელოვანზე, ევროპაში ცხოვრებამ და ახლა სად აპირებთ საქმიანობის გაგრძელებას?

– დავამთავრე პოტსდამ-ბაბელსბერგის კინოაკადემია. ამჟამად, უმეტეს დროს თბილისში ვარ და საქართველოში ვაპირებ მუშაობის გაგრძელებას. რაც შეეხება ევროპაში ცხოვრებას, ამან მოახდინა ის გავლენა, რომ ჩემი ქვეყანა შორიდან დავინახე. დავინახე, რომ ქართული ყოფა არ არის ერთადერთი და აბსოლუტური, ეს ხომ ვიცით თეორიულად, მაგრამ ამის რეალურად დანახვა და შეგრძნება მნიშვნელოვანია. მარტო ყოფნა ვისწავლე და დავრწმუნდი, რომ მარტო ყოფნა ადამიანის სულს სჭირდება. სჭირდება შემოქმედსაც. თბილისში სანამ ვცხოვრობდი, მაგალითად, თბილისის ლანდშაფტს განსაკუთრებულად ვერ აღვიქვამდი, მთებს ვერ ვხედავდი, ისე მქონდა თვალი ამ ყველაფერზე შეჩვეული... როცა ევროპიდან ჩამოვედი, თბილისის ლანდშაფტი მართლა არაჩვეულებრივი მომეჩვენა. წარმოიდგინეთ, თუ ვიზუალურ აღქმაში ასეთი რამ ხდება სამშობლოსთან განშორების მერე, მაშინ რა ხდება შინაგანად. უცებ ყველაფერს სხვა კუთხით უყურებ. მე პირადად, ბევრი ის საკითხი, რაც ჩემს ქვეყანაში არ მომწონდა და რის მიმართაც პროტესტი მქონდა, უფრო მეტად გავიგე.

IP *“In Bloom” was nominated by the national film center for the category of the best foreign films for the Oscars, but it did not make it to the cut of final nominees. What do you think is the reason that foreigners, Americans, Europeans find “In Bloom” so interesting? What draws their attention?*

– I think it’s the characters and the story, their experience, feelings about the world and other people. They believe in these characters and they feel them.

IP *Tell us about yourself. As far as we know, you have been living in Germany for some years, where you graduated from film academy. How did living in Europe influence you, as an artist and where are you going to continue your work?*

– I graduated from the Potsdam-Babelsberg Film Academy. I currently spend most of my time in Tbilisi and I am going to continue my work in Georgia. As to living in Europe, it influenced me in a way that now I can see my country from a different standpoint. It showed me that the Georgian way is not the only and the absolute way. We know this from theoretical point of view but it is also important to actually feel it and see it. I learned how to live on my own and discovered that staying alone nourishes one’s soul and creativity. . While I was living in Tbilisi, for instance, I did not think its landscape was anything particular. I did not see the mountains; I was taking everything for granted... When I got back from Europe, the landscape of Tbilisi seemed absolutely amazing to me. When this is what you experience in your vision after some time away from your country, can you imagine what it feels like inside? Suddenly, you start to see everything from a different point of view. I understood many things that I disapproved and disliked about my country.

IP უკვე მუშაობთ ახალ სცენარზე? გვიამბეთ თქვენს სამომავლო გეგმებზე.

– ვმუშაობ ახალ სცენარზე, ასევე, რამდენიმე თვის წინ დავასრულე რომანი. ფილმის მოქმედება ისევ საქართველოში, თბილისში ხდება. თანამედროვე დროა და ფილმში ერთი ქართული ოჯახის ისტორიაა მოთხრობილი. რომანის მოქმედებაც თბილისში ხდება, მთავარი გმირი 18 წლის გოგონაა და ექსტრემალურ პირობებში ცხოვრობს. დანარჩენს მკითხველი რომანის გამოსვლისას შეიტყობს.

IP ბოლო პერიოდში ვიხილეთ რამდენიმე საინტერესო ქართული ფილმი, რომლებიც წარმატებას აღწევენ საერთაშორისო ფესტივალებზე და კრიტიკოსებს იმედს აღუძრავენ, რომ ქართულ კინოში ახალი თაობის ნიჭიერი რეჟისორები მოდიან. თქვენ როგორ შეაფასებდით ახალ ქართულ კინოს? როგორ ვითარდება ის და რა არის აუცილებელი კარგი კინოს გადასაღებად?

– 2013 წლის ბერლინალეს შემდეგ, საერთაშორისო პრესასა და ფესტივალებზე საუბარი დაიწყო ახალი ქართული ტალღის შესახებ. ქართველ რეჟისორებს წელსაც ჰქონდათ წარმატება ბერლინალეზე და დარწმუნებული ვარ, რომ კიდევ ექნებათ. პირველ რიგში საჭიროა შეიქმნას ახალი ფილმები. თუ ახალი ფილმები არ იქნება, ეს პროცესი შეფერხდება და აღარავინ აღარ ილაპარაკებს ახალი ქართული ტალღის შესახებ. ის ყველას დაავიწყდება მაშინვე, როცა ახალი და უფრო პერსპექტიული ქვეყანა გამოჩნდება, რომელიც მსოფლიოს თავისი კინემატოგრაფიით მოხიბლავს და პრესისა და ფესტივალების ყურადღებას მიიპყრობს. თანამედროვე ქართულმა კინომ უკვე მიიქცია სათანადო ყურადღება და ახლა ის დროა, ჩვენს ქვეყანაში კინოს პოლიტიკა უფრო ჩქარი ტემპით განვითარდეს. ამაში კი დიდი როლი უნდა ჰქონდეს საქართველოს ეროვნულ კინოცენტრს. კინოცენტრმა გააზრებულად უნდა დაუჭიროს მხარი ამ საერთაშორისო გამონევენას და უზრუნველყოს, რომ უფრო მეტი ახალი ფილმი იქნეს წარმოებული. ქართველებს საამაყო კინემატოგრაფია გვაქვს და ვამაყობთ კიდევ ამით, მაგრამ კინოცენტრმა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგას თანამედროვე კინოს განვითარებისთვის და დღევანდელი დღით უნდა იამაყოს!

IP Are you already working on a new screenplay? Tell us about your plans for the future.

– I am working on a new screenplay. Also, several months ago I finished writing a novel. The film action is developed in Tbilisi, Georgia, in present times. It tells a story of a Georgian family. The novel is also set in Tbilisi. The main character is an 18-year old girl living in the extreme conditions. Readers will know more after it comes out.

IP Recently we saw a number of interesting Georgian films that are successful at international festivals and leave critics hopeful that a new talented generation of filmmakers is emerging in Georgia. What could you say about the new Georgian film? How it is developing and what do you think is necessary for making a good movie?

– After Berlinale in 2013, they started talking about the new Georgian wave at international press and festivals. Georgian filmmakers were successful at Berlinale this year and I believe that there is even more success to come. First and foremost, we need to make new movies. Otherwise, the process will be stalled and no one will talk about the new Georgian wave. Everyone will forget it after a new and more promising country comes along, attracts the world with its cinematography and draws the attention of press and festivals. Contemporary Georgian film has already drawn attention, and now it is time to accelerate the development of film policy in our country. Georgian National Film Center should lead the process. It should recognize the international challenge and ensure that more films are produced. Georgia's cinematography is something that we should be proud of and we are proud of, but the Film Center must take steps for the development of contemporary film and be proud of what we have now!

საკუთრო უფლება

საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებზე, რომელიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, საავტორო უფლება ნაწარმოებზე წარმოიშობა შექმნის მომენტიდან. ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს უფლება აქვს ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის დეპონირება განახორციელოს საქპატენტიში. დეპონირების დამადასტურებელ მოწმობაში მითითებული პირი მიიჩნევა ნაწარმოების ავტორად/საავტორო უფლების მფლობელად, თუ არ არსებობს სანაწარმდეგო დასაბუთება.

COPYRIGHT

Copyright shall apply to scientific, literary and artistic works which are the result of the intellectual and creative activity. Copyright is commenced upon its creation. The author or other copyright owner may deposit the original or a copy of a work with SAKPATENTI. Person indicated in a Deposition Certificate shall be deemed to be the author of the work, unless otherwise proven.

IN BLOOM

Directed by NANA EKVTIMISHVILI and SIMON GROSS

WITH LIKA BABLUANI, MARIAM BOKERIA, ZURAB GOGALADZE, DATA ZAKAREISHVILI,
ANA NIJARADZE, MAIKO NINUA, TAMAR BUKHNIKAHVILI, TEMIKO CHICHINADZE,
BERTA KHAPHAVA, SANDRO SHANSHIASHVILI, ENDI DZIDZAVA, ZAZA SALIA,
MARINA JANASHIA, GIORGI ALADASHVILI

PRODUCED BY SIMON GROSS, MARC WÄCHTER CO-PRODUCED BY GUILLAUME DE SEILLE, NANA EKVTIMISHVILI WRITTEN BY NANA EKVTIMISHVILI
LINE PRODUCER ZHANA SARDLUSHVILI, MARC WÄCHTER DIRECTOR OF PHOTOGRAPHY OLEG MUTU (RSC) CASTING BY LELI MIMINOSHVILI PRODUCTION DESIGNER BY KONSTANTINE JAPHARIDZE
COSTUMES BY MEDEA BAKRADZE EDITED BY STEFAN STABENOW SOUND DESIGN BY PAAṬA GODZIASHVILI MAKEUP BY MADONA CHANTURIA COMMISSION EDITOR CHRISTIAN CLOOS, DORIS HEPP
AN INDIZ FILM/POLARE FILM/ARIZONA PRODUCTIONS IN CO-PRODUCTION WITH ZDF "DAS KLEINE FERNSEHSPIEL" IN COOPERATION WITH ARTE AND WITH KIND SUPPORT OF DER BEAUFTRAGTE DER

იდეების ინკუბატორი IDEA INCUBATOR

ქეთევან ბოჯუა
KETEVAN BOJUA



IT ინკუბატორი
საქპატენტი
IT INCUBATOR
SAKPATENTI

მათთვის, ვინც მსოფლიოს შეცვლას ცდილობს

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება კამპუსში – ჩვენ ის ყველა საჭირო რესურსით აღჭურვით სპეციალურად იმ ადამიანებისთვის, ვინც მსოფლიოს შეცვლას ცდილობს“ – ეს წარწერა „გუგლის“ კამპუსს ეკუთვნის, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთმა უმსხვილესმა კომპანიამ 2012 წელს პროგრამირებისა და არა მხოლოდ პროგრამირების სფეროში მოღვაწე „სტარტ-აპ“ პროექტებისა და კომპანიებისთვის შექმნა. სამუშაო და სარელაქსაციო სივრცე, ტექნიკური აღჭურვილობა, უწყვეტი ინტერნეტი და ყველა პირობა იდეების გაცვლისა და კომუნიკაციისთვის – ლონდონში მდებარე 7-სართულიან შენობაში ყველა ტექნიკური და ინტელექტუალური კომფორტია შექმნილი იმისთვის, რომ დამწყებმა ინოვატორმა წარმატებას მიაღწიოს.

2 წლის შემდეგ, „გუგლის“ კამპუსის პრინციპით, საქართველოშიც შეიქმნა საქპატენტის „IT ინკუბატორი“ – დაწესებულება, რომელიც დამწყებ პროგრამისტებს ახალი პროგრამების შექმნასა და განვითარებაში ეხმარება. საქართველოში აქამდე უპრეცედენტო პროექტმა სტარტი 2014 წლის მარტში აიღო და პირველი ბენეფიციარებიც შეირჩა. მიუხედავად იმისა, რომ ქართული „IT ინკუბატორი“ არა ლონდონში, არამედ თბილისში მდებარეობს და 7 სართულის ნაცვლად ჯერ მხოლოდ 2-ს მოიცავს, მიზანი „გუგლისა“ და საქპატენტის პროექტის ერთია – შეუქმნან პირობები იმ ნიჭიერ ადამიანებს, რომლებსაც ინოვაციური პროექტები აქვთ.

FOR THOSE PEOPLE, WHO TRY TO CHANGE THE WORLD

“Welcome to Campus. We designed Campus to equip entrepreneurs with resources they need on their quest to change the world” – these words belong to Google Campus created by one of the world’s largest companies in 2012 for start-up projects and companies operating not only in the field of programming. Working and relaxation spaces, technical equipment, uninterrupted internet connection and all conditions for exchange of ideas and communication – the 7-storey building located in London provides all the necessary technical and intellectual comforts to young innovators to achieve success.

Under the Google Campus principle, two years later IT incubator was created in Georgia by initiative of Sakpatenti – an institution that helps young software developers create and develop new software programs. This unprecedented project was launched in March 2014 and the first beneficiaries were selected. Although the Georgian IT incubator is located in Tbilisi instead of London and it has only two floors instead of seven, the Google and Sakpatenti projects have a common goal – to create conditions for those talented people, who have innovatory projects.

IDEA AND EXPERIENCE

Chairman of Sakpatenti Irakli Ghvaladze says that the idea emerged after getting acquainted with successful examples of other countries. **“Our agency had been studying the experience of various countries for years. We familiarized ourselves with the principles of working of American, Israeli and German incubators, as well as with Google Campus. All these institutions help newcomer software developers to create and develop new software programs. Just based on this concept, an idea about creation of an incubator emerged in Georgia, which is fully oriented to develop the field of information technologies and promoting newcomer software developers”,** – Irakli Ghvaladze says.

იდეა და გამოცდილება

საქპატენტის თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე ამბობს, რომ იდეა სხვა ქვეყნების წარმატებული მაგალითების გაცნობით გაჩნდა. „ჩვენი უწყება წლების განმავლობაში სწავლობდა სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებას. გავეცანით აშშ-ს, ისრაელისა და გერმანიის ინკუბატორების მუშაობის პრინციპებს, ასევე, ლონდონის „გუგლის“ ე.წ. „კამპუსს“. ყველა ეს დაწესებულება ეხმარება დამწყებ პროგრამისტებს ახალი პროგრამების შექმნასა და განვითარებაში. სწორედ, ამ კონცეფციის საფუძველზე, გაჩნდა საქართველოში ინკუბატორის შექმნის იდეა, რომელიც მთლიანად ორიენტირებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგის განვითარებასა და დამწყები პროგრამისტების ხელშეწყობაზე“, – ამბობს ირაკლი ღვალაძე.

ამ კონცეფციით მომუშავე ინკუბატორებში არაერთი ახალი პროდუქტი შექმნილა. მაგალითისთვის ერთიც კი კმარა – „ვაიბერი“. ცოტამ თუ იცის, რომ უფასო სასაუბრო აპლიკაცია, რომელსაც დღეს 100-მილიონზე მეტი მომხმარებელი იყენებს, დაიბადა ბელორუსში სპეციალურად ახალი ტექნოლოგიებისთვის შექმნილ „თავისუფალ ზონაში“. ეს ზონა მინსკში ნლის წინ შექმნეს და მას შემდეგ ბელორუსის პროგრამული უზრუნველყოფის მონაცემები 2000 %-ით, წელიწადში 270 მილიონ დოლარამდე გაიზარდა.


Numerous new products have been created in the incubators working under this concept. It is quite enough to bring an example of Viber. Only few people may know that free chat application, which is presently used by over 100 million users, was born in Belarus, in “a free zone” specifically created for new technologies. This zone was created in Minsk six years ago and since then Belarus software data have increased by 2000%, up to USD 270 million per year.

Products created here are used by the following companies: Google, Halliburton, Chevron, Siemens, Mercedes-Benz, Bosch, Philips, Samsung and London Stock Exchange. Sakpatenti supposes that in case of appropriate support, Georgian software developers and other specialists of this field have no less potential.

INCUBATOR SPACE

The space, where ideas and projects should be generated, is located at Nino Ramishvili Street in Tbilisi. A modern office covering several hundreds of square meters provides all the necessary conditions for those people, who want to create new products in this field. Strong computers, uninterrupted internet connection, necessary legal or other consultations – this is only a part of that comfort, which IT incubator offers its beneficiaries.

Along with ideal working conditions, a modern de-



„ინკუბატორის შექმნა არის ნიშანი, რომ ამ სფეროში სახელმწიფო ინტერესდება და ჩვენთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია.“

ირაკლი ქოქრაშვილი



“NOBODY SETS ANY CONDITIONS TO US; WE HAVE FULL CREATIVE FREEDOM. THE MORE AND GREATER SUCH INCUBATOR IS AND THE MORE WE HAVE AN OPPORTUNITY TO PARTICIPATE IN SUCH START-UP, THE MORE THIS INDUSTRY WILL REVIVE.”

Zviad Baratashvili

აქ შექმნილი პროდუქციის კლიენტები არიან ისეთი კომპანიები, როგორცაა: „გუგლი“, „ჰალიბარტონი“, „შევრონი“, „სიმენსი“, „მერსედეს-ბენცი“, „ბოში“, „ფილიპსი“, „სამსუნგი“ და ლონდონის საფონდო ბირჟა. საქაპატენტში მიიჩნევენ, რომ საქართველოში მოღვაწე პროგრამისტებსა და ამ სფეროს სხვა სპეციალისტებს, სათანადო ხელშეწყობის შემთხვევაში, არანაკლები პოტენციალი აქვთ.

ინკუბატორის სივრცე

სივრცე, სადაც იდეები და პროექტები უნდა დაიბადოს, მდებარეობს თბილისში, ნინო რამიშვილის ქუჩაზე. რამდენიმე ასეული კვადრატული მეტრის ფართობის თანამედროვე ოფისში ადამიანებს, ვისაც ამ სფეროში ახალი პროდუქტის შექმნა სურს, სამუშაოდ ყველა პირობა აქვთ შექმნილი. ძლიერი კომპიუტერები, უწყვეტი ინტერნეტი, სერვერი, საჭირო სამართლებრივი და სხვა ნებისმიერი სახის კონსულტაცია – ეს მხოლოდ ნაწილია იმ კომფორტისა, რასაც ბენეფიციარებს „IT ინკუბატორი“ სთავაზობს.

იდეალურ სამუშაო პირობებთან ერთად, ინკუბატორის მომხმარებელთათვის შექმნილია თანამედროვე დიზაინის ინტერიერი, მწვანე ფერის კედლებითა და ბევრი სინათლით, რაც სწორედ ის გარემოა, სადაც ახალი იდეები იბადება.

„ეს ინკუბატორი გვაძლევს შესაძლებლობას ერთად დავსხდეთ და ვიმუშაოთ პროექტებზე. ადრე სახლიდან ვმუშაობდით, ვიღაც სახლში იყო, ვიღაც გასული. ახლა კი უფრო ოპერატიულები და პროდუქტიულები ვართ“, – ამბობს „IT ინკუბატორის“ ერთ-ერთი ბენეფიციარი გელა ლომიძე.

„არავინ გვიყენებს პირობებს, გვაქვს სრული შემოქმედებითი თავისუფლება. რაც უფრო დიდი და მეტი იქნება ასეთი ინკუბატორი და მოგვეცემა ასეთ „სტარტ-აპ“-ში მონაწილეობის საშუალება, მით უფრო აღორძინდება ეს ინდუსტრია“, – მიიჩნევს პროგრამისტი ზვიად ბარათაშვილი.

ინკუბატორის ბენეფიციარები

ამჟამად, „IT ინკუბატორი“ რამდენიმე ჯგუფსა და განხვავებულ პროექტს მასპინძლობს. ყველა ბენეფიციარის შერჩევა ღია კონკურსის წესით მოხდა. საკონკურსო პირობები გამოქვეყნებული იყო საქაპატენტის ვებგვერდზე. კონკურსის ერთ-ერთი პირობა გახლდათ ის, რომ კონკურსანტებს უნდა წარმოედგინათ პროექტი და სამოქმედო ბიზნესგეგმა. დაინტერესება საკმაოდ დიდი იყო და შერჩეული პროექტები, როგორც საქაპატენტში ამბობენ, ძალიან საინტერესო აღმოჩნდა.

ირაკლი ქოქრაშვილი და მისი „სტორმ მედია სტუდიო“ „IT ინკუბატორის“ ერთ-ერთი ბენეფიციარია. ის, კოლეგებთან ერთად, ახალ კომპიუტერულ თამაშზე, ე.წ. „შუტერზე“ მუშაობს, რომელსაც ონლაინ თამაშების სფეროში რეველუციის მოხდენის პრეტენზია აქვს. ამისთვის, ახალგაზრდა პროგრამისტები ახალ ბიზნეს-მოდელს ამუშავებენ ორი ნოვაციით: ვირტუალური რეალობა და ტოტალიზატორის სისტემა. თამაში სახელად „სტიმერია ტურნამენტი“, მისი შემქმნელების თქმით, გემიერობის პროფესიად გადაქცევის წინაპირობა იქნება.

sign interior is created for the incubator users with green walls and much light that is exactly the environment, where new ideas are generated.

“This incubator enables us to sit down together and work on projects. Previously we worked from home; some were at home, others were out. Now we are more operative and productive”, – says Gela Lomidze, one of the beneficiaries of IT incubator.

“Nobody sets any conditions to us; we have full creative freedom. The more and greater such incubator is and the more we have an opportunity to participate in such start-up, the more this industry will revive”, – software developer Zviad Baratashvili believes.

INCUBATOR BENEFICIARIES

Presently, IT incubator hosts several groups and different projects. All beneficiaries were selected through open competition. Competition conditions were posted on Sakpatenti's website. According to one of the conditions, the applicants should have submitted a project and a business action plan. The interest was high and the selected projects, according to Sakpatenti, proved extremely interesting.

Irakli Kokrashvili and his Storm Media Studio is one of the beneficiaries of IT incubator. He and his colleagues are working on a new computer game, so called “Shooter,” which has an ambition to stage a revolution in the sphere of online games. For this purpose, young software developers are developing a new business model with two innovations: virtual reality and totalisator system. The game named “Steameria Tournament”, according to its authors, will become a precondition for turning gaming into profession.

“Today weapons, upgrades are sold in online games, but we offer gamers an absolutely new model. You are a gamer, a gladiator and you are fighting with others, but as soon as you develop at a certain level, you can hire other gladiators too. Just this is when an interesting moment starts – it will be possible to place a bet on hired gladiators like on football teams. A gamer will be able to challenge another gladiator and play with him on real money. Our game makes it possible to earn money if you are a good gamer. Nobody has done it so far at this level”, – Irakli Kokrashvili says.

The representatives of Storm Media Studio hope that their product will gain access to international market and with the help of IT incubator other talented developers will also enjoy similar opportunities.

“These people know how to make games, but they do not know how to sell themselves. They are now working on enthusiasm; they may make a great product potentially, but they may not get access to market or be lost. We should teach them how to take the first steps, how to advertise their products. Creation of the incubator is a sign that the state shows interest in this sphere and it is very important for us”, – Irakli Kokrashvili says.

Another project being implemented in IT incubator has a radically different nature from computer games. MA student Nino Buliskeria and her friends have set up an online charitable organization We Help. The online portal has connected donors and beneficiaries with each other and what is most important, it helps a person, who wants to

„დღეს, ონლაინ თამაშებში ყოფიან იარაღს, აფგრეიდებს, მაგრამ ჩვენ გეიმერებს სრულიად ახალ მოდელს ვთავაზობთ. შენ ხარ მოთამაშე, გლადიატორი, ებრძვი სხვებს და როცა თამაშში რაღაც დონეზე განვითარდები, შეგიძლია უკვე სხვა გლადიატორებიც დაიქირავო. სწორედ აქ შემოდის საინტერესო მომენტი – დაქირავებულ გლადიატორებზე, როგორც ფეხბურთის გუნდებზე, შესაძლებელი იქნება ფსონის დადება. ასევე, მოთამაშეს ექნება საშუალება გამოიწვიოს ბრძოლაში სხვა გლადიატორი და ეთამაშოს რეალურ ფულზე. ჩვენი თამაში იძლევა იმის საშუალებას, რომ, თუ კარგი მოთამაშე იქნები, ფული იშვავო. ასეთ დონეზე ეს აქამდე არავის გაუკეთებია“, – ამბობს ირაკლი ქოქრაშვილი.

„სტორმ მედია სტუდიოს“ წარმომადგენლებს იმედი აქვთ, რომ მათი პროექტი საერთაშორისო ბაზარზეც მოხვდება, შემდეგ კი „IT ინკუბატორის“ დახმარებით, ასეთი შანსი არა მარტო მათ, არამედ სხვა ნიჭიერ დეველოპერებსაც მიეცემათ.

„ამ ადამიანებმა იცინა თამაშების კეთება, მაგრამ არ იცინა, როგორ გაყიდონ თავისი თავი. ისინი ახლა ენთუზიამზე მუშაობენ, პოტენციურად შეიძლება მაგარი პროდუქტი გააკეთონ, მაგრამ რეალურად ბაზარზე ვერ მოხვდნენ ან დაიკარგონ. უნდა ვასწავლოთ მათ, როგორ გადადგან პირველი ნაბიჯები, როგორ გაუკეთონ რეკლამა თავის პროდუქტს. ინკუბატორის შექმნა არის ნიშანი, რომ ამ სფეროთი სახელმწიფო ინტერესდება და ჩვენთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია“, – ამბობს ირაკლი ქოქრაშვილი.

render assistance, to donate money, because all transfers are made via Internet.

“Probably, a person wants to do a kindness, but calling via mobile phone deducts huge interests or she/he may fail to go to bank only for transferring 5 Lari. Here, you can easily enter the website and transfer 1 or 2 Lari, as you like. The process is fully open and transparent. Here, in this incubator we have a place to gather and generate ideas; we have all the necessary technical capacities; they also help us with human resources”, – Nino Buliskeria says.

Owing to this website, GEL 14 000 has already been transferred and the project has already assisted 11 beneficiaries.

FUTURE

IT incubator is a pilot project for Georgia; however, according to the Chairman of Sakpatenti, if successful products are created as a result of its functioning, the incubator will definitely be expanded. “We really have such hopes at this stage”, – Irakli Ghaladze says.

Besides interesting projects, the success stories of its international analogs give hope that IT incubator will prove successful. According to the 2013 report of Google Campus, during 12 months its members managed to create 564 jobs and raise £34 million funding.





კიდევ ერთი პროექტი, რომელიც „IT ინკუბატორის“ კედლებში ხორციელდება, კომპიუტერული თამაშებისგან რადიკალურად განსხვავებული ხასიათისაა. მაგისტრატურის სტუდენტს ნინო ბულისკერიას და მის მეგობრებს შექმნილი აქვთ ონლაინ საქველმოქმედო ორგანიზაცია „We Help“ (ჩვენ ვეხმარებით). ინტერნეტ პორტალი დონორსა და ბენეფიციარს ერთმანეთთან აკავშირებს და, რაც მთავარია, დახმარების მსურველ ადამიანს თანხის გაცემას უადვილებს, რადგან გადარიცხვები ინტერნეტით ხდება.

„შესაძლოა ადამიანს სურს, რომ სიკეთე გააკეთოს, მაგრამ მობილურზე დარეკვა უზარმაზარ პროცენტს აჭრის, ბანკში წასვლა შეიძლება ვერ მოახერხო, ან 5 ლარის გადასარიცხად არ წახვიდე. აქ კი მარტივად შედიხარ საიტზე და რიცხავ 1 ან 2 ლარს, როგორც გინდა. პროცესი მთლიანად ღია და გამჭვირვალეა. ამ ინკუბატორში გვაქვს ადგილი, სადაც შევიკრიბებით, გავაკეთებთ იდეების გენერირებას, გვაქვს ტექნიკური შესაძლებლობები, ადამიანური რესურსითაც ყველაფერში გვეხმარებიან“, – ამბობს ნინო ბულისკერია.

შედეგი კი არის ის, რომ ამ დროისთვის, ამ ვებგვერდის საშუალებით 14 ათასი ლარია გადარიცხული და ეს პროექტი უკვე 11 ბენეფიციარს დაეხმარა.

მომავალი


„IT ინკუბატორი“ საპილოტო პროექტია საქართველოსთვის, თუმცა, საქპატენტის თავმჯდომარის თქმით, თუ შედეგად შეიქმნება წარმატებული პროდუქტები, ინკუბატორი აუცილებლად გაფართოვდება. „ამის იმედი ამ ეტაპზე ნამდვილად გვაქვს“, – ამბობს ირაკლი ლვალაძე.

„IT ინკუბატორის“ წარმატების იმედს, ბენეფიციარების მიერ წარმოდგენილი საინტერესო პროექტების გარდა, მისი საერთაშორისო ანალოგების ისტორიაც იძლევა. „გუგლის“ კამპუსის 2013 წლის ანგარიშის მიხედვით, მხოლოდ 12 თვის მანძილზე მისმა წევრებმა 564 სამუშაო ადგილის შექმნა და 34£ მილიონიანი დაფინანსების მოპოვება შეძლეს.

გია ყანჩელი
ინტერვიუ ცოცხალ კლასიკოსთან

GIA KANCHELI
INTERVIEW WITH A LIVING CLASSIC

ნათია ორველაშვილი
NATIA ORVELASHVILI



გია ყანჩელი
Gia Kancheli

„როდესაც საკუთარ თავთან მარტო ვრჩები, უნდა ვიყო ოპერატორიც, გამნათებელიც, ქორეოგრაფიც და სცენარის ავტორიც. ეს იგივე თეატრია, რომელსაც შეიძლება, პირობითად, ერთი მსახიობის თეატრი ეწოდოს“, – ეს სიტყვები გია ყანჩელს ეკუთვნის. თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს ქართველ მუსიკოსს, რომლის შემოქმედება, უკვე დიდი ხანია, გაცდა საქართველოს ფარგლებს და მსოფლიო მუსიკალური კულტურის ნაწილი გახდა. მის კამერულ და სიმფონიურ მუსიკას მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ დარბაზებში ნამყვანი შემსრულებლები აჟღერებენ. მას ეძღვნება მუსიკალური ფესტივალები და ის არაერთი საერთაშორისო პრემიის ლაურეატი.

თუმცა, ეს ფრაზა მისი კინო მუსიკის შექმნის პროცესს აღწერს. იმ მუსიკის, რომლის გარეშეც „შერეკილები“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „არ დაიდარდო“, „კინ-ძა-ძა“, „ქვევრი“, „მიმინო“, „როცა აყვავდა ნუში“ და კიდევ არაერთი შედეგად აღიარებული ფილმი იმ სახით, როგორც დღეს არის, ვერ იცოცხლებდა. ცოცხალ კლასიკოსსა და 50-ზე მეტი ფილმისა და სპექტაკლის მუსიკის ავტორს „IP საქართველო“ კინოზე, მუსიკაზე, საავტორო უფლებებსა და თანამედროვე ხელოვნების გამოწვევებზე ესაუბრა.

IP ერთ-ერთ ინტერვიუში თქვით, რომ მუსიკალურ წრეებში წარმოდგენა არა აქვთ, რომ კინო-თეატრალური მუსიკის ავტორი ხართ, პოსტსაბჭოთა სივრცეში კი უფრო ამ მიმართულებით გიცნობენ. მიზეზად ჟანრის პოპულარობა დაასახელეთ. როგორ ფიქრობთ, რა გავლენას ახდენს კინო და თეატრი მუსიკის აღქმაზე, მის პოპულარობაზე, და პირიქით? ფილმი ხდის მუსიკას პოპულარულს, თუ მუსიკა ფილმს?

“When I stay alone with myself, I have to be a cameraman, lighting technician, choreographer and screenwriter. This is identical to the theatre, which can conditionally be called one actor theatre,” these words belong to Gia Kancheli, one of the greatest Georgian musicians of modernity, whose creative work has gone beyond Georgia’s limits and become a part of the world musical culture. His chamber and symphonic music is performed by leading musicians in the most prestigious concert halls of the world. Music festivals are dedicated to him and he is a laureate of a number of international prizes.

However, the phrase above describes the creation of soundtrack by him - the music without which “The Eccentrics”, “An Unusual Exhibition”, “Don’t Grieve”, “Kin-dza-dza”, “Kvevri”, “Mimino”, “When Almonds Blossomed” and many other films recognized as masterpieces would not have existed in their present form. IP Georgia interviewed the living classic and the author of over 50 film and theatre music on cinematography, music, copyrights and challenges of modern art.

IP You mentioned in one of the interviews that some people from musical circles do not even know that you are the author of film and theatre soundtrack, whereas in the post-soviet space you are mostly known in this direction. You cited the popularity of this genre as the reason. What do you think, how do the cinematography and theatre influence the perception of music, its popularity and vice versa? Does a film makes music popular, or vice versa?

– I do not think that good music will make a medium quality film successful. Most frequently, there are

– არ მგონია, რომ კარგმა მუსიკამ საშუალო ხარისხის ფილმს წარმატება მოუტანოს. უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც კარგ ფილმში მუსიკაა საშუალო ხარისხის. მიუხედავად ამისა უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ კინოეკრანზე აქლერებული მუსიკალური თემები იმსახურებს საყოველთაო სიყვარულს და მარადიულ ადგილს იკავებს მსოფლიოს მუსიკალურ ხელოვნებაში. ორიგინალური არ ვიქნები, თუ დავასახელებ რამოდენიმე კომპოზიტორის გვარს, რომელთა მიერ შექმნილი მელოდიები ხუთივე კონტინენტის მუსიკის მოყვარულებმა გაითავისეს – ჩარლი ჩაპლინი, ნინო როტა, მიშელ ლეგრანი, ფრენსის ლეი, ენიო მორიკონე. ქედს ვიხრი იმ რეჟისორების წინაშე, რომელთა გარეშე ამდენი შესანიშნავი მუსიკალური სახე არ შეიქმნებოდა.

IP ცნობილია, რომ რობერტ სტურუას თხოვნით „კავკასიური ცარცის წრისთვის“ მუსიკა ისე დაწერეთ, რომ ბრეტის პიესა ნაკითხული არ გქონდათ. როგორ იქმნება გია ყანჩელის მუსიკა კინოსა და თეატრისთვის? რა არის ამ დროს თქვენი მთავარი ინსპირაცია?

– ცხოვრებამ მარგუნა შემოქმედებითი სიახლოვე პიროვნებებთან, რომელთა ურთიერთობა უილიამ შექსპირთან, ბერტოლდ ბრეტთან, კლოდ ტელიესთან ან კიდევ რეზო გაბრიადესთან თანავტორობის მნიშვნელობას იძენდა. მერწმუნეთ, რომ მუსიკას ვთხზავდი იმ ადაპტაციებისთვის, რომლებსაც მახვედრებდნენ სცენაზე თუ ეკრანზე, ამიტომ, ხშირ შემთხვევებში, ლიტერატურული პირველწყარო ჩემთვის მეორადი გახლდათ.

IP თქვენ არაერთხელ გითქვამთ, რომ კინოსა და თეატრისთვის მუსიკის შექმნისას რეჟისორის ინდივიდუალობას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებთ. გიორგი დანელია, ელდარ შენგელაია, რობერტ სტურუა – მათთან მუშაობის შემდეგ, ვინ არის ის რეჟისორი საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ, ვისთვისაც მუსიკას დანერდით?

– თეატრსა და კინოში ჩემი მოღვაწეობა ბოლო წლებში მინიმუმამდე დავიდა. შესაძლებელია, რომ შექმნილი გამოცდილება გარკვეული სახით ვლინდება ჩემს ძირითად შემოქმედებაში. ვგულისხმობ არც თუ ისე იშვიათ გამონათქვამებს, როდესაც ჩემს სიმფონიურ და კამერულ შემოქმედებას მუსიკალურ თეატრს ადარებენ. და თუ ეს ასეა, მაშინ მაღლობის გარდა არაფერი მეთქმის ჩემი კინოსა და თეატრში ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის მიმართ.

ვფიქრობ, რომ შემოქმედებითი ურთიერთობა ახალ სახელებთან გამიჭირდებოდა. სხვათა შორის, შემოთავაზებების რაოდენობაც მინიმუმამდე დავიდა და ეს გასაგებიცაა. მომავალ წელს 80 წელი მისრულდება და უცხოეთში ბევრს, ალბათ, კარგა ხნის გარდაცვლილიც ვგონივარ. ასე რომ, თუ ჩემი ურთიერთობა რეჟისორებთან მინიმუმს მიუახლოვდა და თითქმის შეწყდა, რეჟისორების ურთიერთობა ჩემს მუსიკასთან გრძელდება.

ჩემი სიმფონიური ან კამერული მუსიკა საკმაოდ ხშირად იმსახურებს ამა თუ იმ შემოქმედის ყურადღებას. მიუხედავად იმისა, რომ მუსიკა ბალეტისთვის არასდროს

good films with medium quality music. Nevertheless, it should be noted that just music tones sounding on the screens deserve universal love and take an eternal place in the world musical art.

I will not be original if I name several composers, whose melodies enjoy huge popularity among the music lovers of all the five continents: Charlie Chaplin, Nino Rota, Michel Legrand, Francis Lai, Ennio Morricone. I express my admiration to those directors, without whom so many musical characters would not have been created.

IP As known, you wrote music for “The Caucasian Chalk Circle” without reading the play by Brecht upon the request of Robert Sturua. How does Gia Kancheli create his film and theatre soundtrack? What is your main inspiration at this moment?

– Life rewarded me with creative closeness with the persons, relations with whom were equal to co-authorship with William Shakespeare, Bertold Brecht, Claude Tellier or Rezo Gabriadze. Be sure that I was creating music for those adaptations, which I saw on the stage or screen. Therefore, in most cases, the original literary source was secondary for me.

IP You have said numerously that when creating film and theatre soundtrack, you attach decisive significance to the individuality of a director. Giorgi Danelia, Eldar Shengelaia, Robert Sturua – after working with them, who is the director in Georgia or beyond its limits, for whom you would write a piece of music?

– My activity in the theatre and cinematography has been minimized over the past years. Probably, the acquired experience is somehow revealed in my basic creative work. I mean not so rare statements, when my symphonic and chamber works are compared to musical theatre. If this is real, I cannot but thank my half a century activity in cinematography and theatre.

I think that it would be difficult for me to establish creative relations with new faces. By the way, the number of proposals has been minimized too and this is absolutely clear. I will turn 80 next year and probably many think abroad that I have already died. So, if my relationship with directors has reached a minimum and has almost been ceased, the relationship of directors with my music still continues.

My symphonic or chamber music frequently deserves the attention of this or that creator. Although I have never written ballet music, ballet shows have been created on my music in Holland, Austria, Germany and Switzerland at various times. Neither does the cinematography leave me without attention. I was pleased to hear that an episode from my work Morning Prayers was used for several times in the film “The Tree of Life” by Terrence Malick.

IP As known, soundtrack for the film “The Eccentrics” has an unusual history and it was written at the last moment, in the process of film editing. Can you recollect this episode?

I think that the episode you noted is not connected with “The Eccentrics”, but with “Blue Mountains” by El-

დამინერია, ჩემს მუსიკაზე სხვადასხვა დროს შეიქმნა საბალეტო წარმოდგენები ჰოლანდიაში, ავსტრიაში, გერმანიაში და შვეიცარიაში. არც კინემატოგრაფი მტოვებს უყურადღებოდ. სიამოვნებით შევიტყვე, რომ ეპიზოდმა ჩემი ნაწარმოებიდან „დილის ლოცვანი“ ტერენს მალიკის გახმაურებულ ფილმში „სიცოცხლის ხე“ რამდენჯერმე ჰპოვა გამოყენება.

IP როგორც ვიცით, განსაკუთრებული ისტორია აქვს „შერეკილებს“ მუსიკალური თემის შექმნას, რომელიც ბოლო მომენტში, უკვე მონტაჟის პროცესში დაინერა. შეგიძლიათ გაიხსენოთ ეს ისტორია?

– ვფიქრობ, რომ თქვენ მიერ გახსენებული ეპიზოდი დაკავშირებულია არა „შერეკილებთან“, არამედ ელდარ შენგელაიას „ცისფერ მთებთან“. დიახ, სწორედ მონტაჟის პერიოდში აღმოჩნდა ჩემ მიერ დაწერილი და ჩანერილი მუსიკა ნაგვის ყუთში. დაახლოებით 40 წუთიანი მუსიკალური მასალა, რომელიც შეიცავდა სხვადასხვა ხასიათისა და ტემპის დუბლებს, წუთნახვერიანმა ვალსმა ჩაანაცვლა.

IP მუსიკალურ ოჯახში არ დაბადებულხართ. როგორ შემოვიდა მუსიკა თქვენს ცხოვრებაში? ნიგნში „გია ყანჩელი დიალოგებში“ თქვენ იმასაც იხსენებთ, რომ ბავშვობაში მეგობრებს დიდხანს უმაღავდით მუსიკით გატაცებას. როგორ შედგა გია ყანჩელი როგორც მუსიკოსი?

– ჩემი თაობისთვის სიჭაბუკის წლები მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდგომ პერიოდს ემთხვევა. მაშინ საბჭოთა კავშირში ჯაზი აკრძალული იყო და ინოვებოდა „მსუქნების მუსიკად“. სწორედ, ამ დროს გამოვიდა ეკრანებზე ფილმი „მზიანი ველის სერენადა“ გლენ მილერის ორკესტრის მონაწილეობით. ამ ფილმის მუსიკამ გაუძლო დროს და დღემდე პოპულარობით სარგებლობს. არ არის გასაკვირი, რომ ჩემი თაობის ახალგაზრდობა ამ მუსიკის თაყვანისმცემლებად იქცა და მეც არ წარმოვადგენდი გამოწვევის. დღევანდელი გადმოსახედიდან მიკვირს კიდევ, თუ როგორ ვერ გათვალა იმდროინდელმა რეჟიმმა, რომ სტინგი და ტოტალიტარიზმი ურთიერთგამომრიცხავ მოვლენებს წარმოადგენენ. ალბათ მაშინ ჩაეყარა საფუძველი გარემოებას, რომელმაც მუსიკასთან საბოლოოდ დამაკავშირა.

IP ჯაზიდან სიმფონიურ მუსიკამდე – როგორი იყო ეს გზა თქვენთვის? და ვინ შეასრულა გადამწყვეტი როლი ამ გზაზე?

– სიჭაბუკის წლებში გატაცებული ვიყავი ჯაზით. ხშირად აღმინიშნავს, რომ ჩემი ურთიერთობა მუსიკასთან უკავშირდებოდა არა მოცარტის ან შუბერტის შემოქმედებას, არამედ ელინგტონისა და გლენ მილერის მოღვაწეობას. დღეს ძნელად წარმომიდგენია სიმფონიური მუსიკის ასპარეზზე ჩემი არსებობა, რომ არა ჯანსუღ კახიძე, რომელთან მეგობრობამ და შემოქმედებითა ურთიერთობამ ძირეულად შეცვალა ჩემი შემოქმედებითი ორიენტირები და მისწრაფებები.

dar Shengelaia. Yes, in the process of film editing the music written and recorded by me appeared in a garbage bin. About 40-minute music containing the doubles of various nature and tempos was replaced by a 1, 5 minute-long Waltz.

IP *You were not born in a family of musicians. How did music enter into your life? You recollect in the book “Gia Kancheli in Dialogues” that during your childhood, you were hiding from your friends that you were keen on music. How did Gia Kancheli turn into a musician?*

– For my generation, the years of our youth coincided with the post-WWII period. Jazz was prohibited in the Soviet Union of that period and it was called “Music of the Fat.” It was just that period when the film “Moonlight Serenade” was released with the participation of Glenn Miller’s band.

Soundtrack from this film has withstood the test of time and it still enjoys huge popularity. No wonder the youth of my generation admired that music and I was no exception either. From today’s point of view, I am surprised why the regime failed to predict that Sting and totalitarianism are contradictory phenomena. Probably, it was then when the foundation was laid for the circumstance, which finally linked me with music.

IP *From Jazz to symphonic music – how was this road for you? And who played a decisive role on this road?*

– I was fascinated with jazz in my youth. I have noted frequently that my relationship with music was connected not with the works of Mozart or Shubert, but with the activities of Ellington and Glenn Miller. Today I can hardly imagine my existence in the sphere of symphonic music, if it were not my friendship and creative relations with Jansug Kakhidze that has radically changed my creative orientation and aspirations.

IP *You say in the book “Gia Kancheli in Dialogues” that during your childhood, classic jazz music replenished your life. Today, your music is an inspiration for young musicians. How would you assess the project “Other Kancheli”, where your music was performed by young jazz musicians?*

– I am glad that my film and theatre music proved viable. When one and the same musical character in different clothes enjoys public sympathy – this is pleasant and talks about the interest shown by musicians of various genres. The project “Other Kancheli” proved interesting not only for me, but for the audience as well. I want to express my gratitude to the inspirers and participants of the project.

IP *A great part of your works has been created during the Soviet period. You said in one of the interviews that the closed system represented a difficulty and a challenge for your friends’ and your creative development. How do you think today, what is the key challenge for a musician in the epoch of Internet and globalization?*



გია ყანჩელი 50-ზე მეტი ფილმისა და სპექტაკლის მუსიკის ავტორია.

Gia Kancheli is the author of soundtracks for more than 50 films and plays.

IP ნიგში „გია ყანჩელი დიალოგებში“ თქვენ ამბობთ, რომ ბავშვობაში ჯაზის კლასიკოსების მუსიკა თქვენს ცხოვრებას აესებდა. დღეს უკვე თქვენი მუსიკა ინსპირაცია ახალგაზრდა მუსიკოსებისთვის. როგორ შეაფასებთ პროექტს „სხვა ყანჩელი“, სადაც თქვენი შემოქმედება ჯაზის ახალგაზრდა შემსრულებლებმა ააჟღერეს?

– მოხარული ვარ, რომ ჩემი კინო-თეატრალური მუსიკა სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. როდესაც ერთი და იგივე მუსიკალური სახე განსხვავებულ სამოსში შემოსილი სარგებლობს საზოგადოების სიმპათიით – ეს სასიამოვნოც არის და იმ ინტერესზეც მეტყველებს, რომელსაც სხვადასხვა მიმდინარეობის მუსიკოსები იჩენენ. პროექტმა „სხვა ყანჩელი“, არა მხოლოდ ჩემი, არამედ დამსწრე საზოგადოების ინტერესიც გამოიწვია. მაღლიერებით მიინდა მოვიხსენიო ამ პროექტის ყველა სულისჩამდგმელი და მონაწილე.

IP თქვენი ნაწარმოებების დიდი ნაწილი საბჭოთა კავშირის პერიოდში შეიქმნა. ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდით, რომ ამ სისტემის ჩაკეტილობა თქვენი და თქვენი მეგობრების შემოქმედებითი განვითარებისთვის სირთულე და გამონეწვეა იყო. როგორ ფიქრობთ დღეს, ინტერნეტის და გლობალიზაციის ეპოქაში რა არის მთავარი გამონეწვეა მუსიკოსისთვის?

– In this view, processes in musical industry are developing in different ways. A lot of TV channels promoted the establishment of a new, previously non-existing genre, representing the merger of vocal art and expression – so called video clips.

The masses perceive this merger with pleasure. Frequently, the visual side of video clips is quite skillful and tasteful. At the same time, in my opinion, music is frequently hushed up. And what is the most important, the interest towards audio products has decreased significantly.

Certainly, serious, non-commercial art continues its existence. However, the gap between these two directions is constantly increasing. I think that these processes are largely connected not with globalization, but with increasing means of massive genres. The Internet has changed the world. This new technology for exchange of information has enabled music lovers to obtain and listen to everything that exists in music – both good and bad. Unfortunately, millions are listening to “bad” music, and only tens or maybe hundreds in the best case are listening to “good” music. I was talking just about this gap.

IP You dedicated one of your new works “Angels of Sorrow” to innocent victims of cruelty and indifference. It was performed at the concert in memory of Ana Politkovskaya. What do you think, how does the social-political life influence the art and vice versa? Can the art, particularly cinema or music change the reality?

– საავტორო უფლების დაცვა ამა თუ იმ ქვეყნისა და ერის კულტურის დონის მაჩვენებელია. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, ბალტიისპირეთს თუ არ ჩავთვლით, მდგომარეობა, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელოა. აქვე მინდა აღვნიშნო ის პროგრესი, რომლის მოწმენი გავხდით ბოლო სამი წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში. სწორედ საქპატენტის ხელშეწყობით მოახერხა ბატონმა გიგა კობალაძემ და მისმა გუნდმა საავტორო უფლების დაცვის სფეროში ძირფესვიანი რეფორმების გატარება. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ რეფორმებიდან კი გახლავთ ის, რომ თანდათან იცვლება მუსიკის მომხმარებლების დამოკიდებულება საავტორო ჰონორარების გადახდის პროცესების მიმართ. საავტორო უფლებების ასოციაციამ საფუძველი ჩაუყარა უცხოელი ავტორების ანაზღაურებასაც მათი ნაწარმოებების საქართველოში შესრულებისათვის, რაც საავტორო უფლებების დაცვის გლობალურ სისტემაში ჩვენი ქვეყნის სრულყოფილი ინტეგრირების უტყუარი ნიშანია.

აი, უკვე 23 წელია ვცხოვრობ ისეთ გარემოში, სადაც საავტორო უფლებებს ზედმიწევნით მკაცრად იცავენ. მახსენდება გასული საუკუნის 80-იანი წლები. მაშინ, გაუთვითცნობიერების გამო, თავად აღმოვჩნდი საავტორო უფლების დამრღვევი. ბატონმა თენგიზ აბულაძემ „მონანიების“ შავად დამონტაჟებული მასალა მანახა და რჩევა მთხოვა მუსიკალური გაფორმების კუთხით. მეორე დღეს კინოსტუდიაში ჩემი მეგობრის, ესტონელი კომპოზიტორის არვო პიარტის ახლადგამოსული ფირფიტა მივიტანე. „Tabula Rasa“-ს ერთ-ერთი ეპიზოდი ფორზე გადავანერინე, მიუხედავად სამონტაჟო მაგიდას და ჩემ მიერ შერჩეული ეპიზოდი მორების სცენაზე „გაფჭიმე“.

ბატონმა თენგიზმა აღფრთოვანება ვერ დამალა და მადლობა გადამიხადა დახმარებისთვის. გავიდა დრო. ფილმის ეკრანებზე გამოსვლას არნახული ფურორი მოჰყვა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთაც. იმ დროს, არვო პიარტი უკვე გერმანიაში ცხოვრობდა და თანამშრომლობდა ცნობილ ავსტრიულ გამომცემლობასთან „Universal Edition“. დეპეშამ, რომელიც კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექციის მიიღეს, დიდი პანიკა გამოიწვია. გამომცემლობა იუწყებოდა, რომ სასამართლოში უჩივლებს „ქართულ ფილმს“, თუ მუსიკის გამოყენებაში გარკვეულ თანხას არ გადაიხდიან. საბედნიეროდ, ვითარება განმუხტა მუსიკის ავტორმა, რომელმაც, ჩემი თხოვნის შედეგად, გამომცემლობას გამონაკლისის გაკეთებისკენ მოუწოდა. ასე გავხდით თავად საავტორო უფლების დამრღვევი...

პირადად ჩემი საავტორო უფლებაც არაერთხელ დარღვეულა და ირღვევა, მაგრამ კონკრეტული მაგალითების მოყვანისგან, ამა თუ იმ მიზეზის გამო, თავს შევიკავებ. რაც შეეხება საავტორო უფლების დაცვის მნიშვნელობას ზოგადად და პირადად ჩემთვის, ის ალბათ ცნობილ ანდაზაშია ყველაზე კარგად არეკლილი: აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი, ორივე ქურდიაო.

Of course, politics exerts influence on the art, especially if an artist does not stay indifferent towards the ongoing developments. Unfortunately, it never happens vice versa. If the art could change the reality, the world would have existed in a calm atmosphere, similar to a paradise. A question arises here: would the greatest artworks have been created, if that wrongness, cruelty, hatred, envy and constant confrontation, which accompanies the history of mankind, had not existed? – No! Perhaps, you will agree that such an answer is terrible.

IP *Have you ever faced any case of violation of your copyright and how important is it for you, for an artist, whose music has actually turned into classics, to protect your copyright?*

– *Copyright protection demonstrates the level of culture in this or that country or nation. To say it softly, the situation is unfavorable in the former Soviet republics, excluding the Baltic States. At the same time, I want to emphasize the progress which we witnessed over the past three years in our country. Just with the support of Sakpatenti, Mr. Giga Kobaladze and his team managed to implement comprehensive reforms in the sphere of copyright protection. Most important in these reforms is the fact that the attitude of music consumers towards the author fee payment processes is gradually changing. The Copyright Association has initiated payment of compensations to foreign authors for performing their works in Georgia that is a true sign of our country's integration into the global system of copyright protection.*


For already 23 years I have been living in the environment, where the copyright is protected very strictly. I remember the eighties of the last century. Because of unawareness, I myself became a violator of the copyright. Tengiz Abuladze showed me the primary edited version of “the Repentance” and asked my advice in terms of its music. Next day I brought a newly released disc of a friend of mine, Estonian composer Arvo Pärt. I instructed “Tabula Rasa” to record one episode; then I sat down at the film editing table and used the selected part in the episode of logs.

Tengiz Abuladze could not hide his admiration and thanked me for assistance. Time has passed. The film proved extremely successful both inside the country and outside the limits of the Soviet Union. By then, Arvo Pärt already lived in Germany and was cooperating with a famous Austrian publisher “Universal Edition”. A telegram received by the management of Georgian Film caused a huge panic. The publisher was claiming that it would file a lawsuit against Georgian Film if it did not pay a certain sum for using the music. Luckily, the music author defused the tension. Upon my request, he called on the publisher to make an exception. So, this is how I violated the copyright.

My copyrights have also been violated for multiple times, but I will refrain from bringing concrete examples for this or that reason. As far as the importance of copyright protection is concerned generally and personally for me, it is best reflected in a famous Georgian proverb: “A camel thief and a needle thief are both thieves.”

„მიფრინავენ წეროები“ “THE CRANES ARE FLYING”

ლიკა ბერაია
LIKA BERAIA



მიხეილ კალატოზოვი
Mikheil Kalatozov

1957 წელი. ახლგაზრდა მამაკაცი ტურისტის სტატუსით ჩადის მოსკოვში. ახლადჩამოსულ სტუმარს ტაქსის მძღოლი ეუბნება, რომ მოსფილმში თურმე დიდი გადაღებებია. ტურისტი იმდენად დაინტერესდა ტაქსის მძღოლის მონაყოლით, რომ, ბარგიანად გაემგზავრა გადასაღებ მოედანზე და საკუთარი თვალთა ნახა როგორ გადაიღეს ყველა დროის საუკეთესო საბჭოთა ფილმი „მიფრინავენ წეროები“.

ეს ახლგაზრდა ტურისტი იყო კლოდ ლელუში, რომელმაც მიხეილ კალატოზოვის ყურადღება თავიდანვე იმით მიიქცია, რომ თან უამრავი ბარგი და აპარატურა ჰქონდა. „აპარატურა ბაბუაჩემის სუსტი წერტილი იყო“, ამბობს ანა კალატოზიშვილი. „თუმცა, ახლგაზრდა ლელუში საინტერესო სტუმარიც აღმოჩნდა და კალატოზოვმა გადაწყვიტა მისთვის „მიფრინავენ წეროების“ მასალა ეჩვენებინა. შემდეგ კი ლელუშმა რამდენიმე დღე გადაღებებზე ასისტენტადაც კი იმუშავა“.

საფრანგეთში დაბრუნებული კლოდ ლელუში დაუკავშირდა კანის კინოფესტივალის დირექტორს და სთხოვა, რომ სსრკ-დან კანის ფესტივალზე ფილმი „მიფრინავენ წეროები“ და მისი რეჟისორიც მიეწვიათ. ასე აღმოჩნდა ქართველი კინორეჟისორის გადაღებული ფილმი კანის კინოფესტივალზე.

დაჯილდოებას ვერ დაესწრო თავად ფილმის რეჟისორი. საბჭოთა ცენზურამ ფესტივალის დირექციას აცნობა, რომ კალატოზოვი ინფარქტის გამო ვერ შეძლებდა ცერემონიაზე დასწრებას. ბუნებრივია, სინამდვილეში

The year 1957 – a young man arrives in Moscow as a tourist. A taxi driver tells the newly arrived guest about active filmmaking in Mosfilm. The tourist gets so much interested in the story told by the taxi driver that he goes to the filming location without even leaving his luggage and sees by his own eyes how the best Soviet film of all times – “The Cranes Are Flying” is being shot.

This young tourist was Claude Lelouch, who attracted Mikheil Kalatozov’s attention as he had a lot of luggage and apparatus with himself. “Apparatus was a weak point of my grandfather,” says Ana Kalatozishvili, “however, young Lelouch proved to be an interesting guest and Kalatozov decided to show him the materials of “The Cranes Are Flying”. Later Lelouch even worked as an assistant for a couple of days during filmmaking.”

Upon his return to France, Claude Lelouch contacted the director of Cannes Film Festival and asked him to invite the film “The Cranes Are Flying” and its director from the USSR to the Cannes Festival. This is how the film shot by the Georgian film director appeared at the Cannes Film Festival.

The film director could not attend the award ceremony. The Soviet censorship notified the Cannes Festival Directorate that Kalatozov could not attend the ceremony because of the heart attack. Naturally, poor health condition was not the reason for Kalatozov’s absence at the Cannes Festival...

“Disheveled prostitute” – this is how Nikita Khrushchev described Veronika (actress Tatiana Samoilova), the main character of “The Cranes Are Flying”. The Soviet government became irritated at the fact that nei-

კალატოზოვის კანის ფესტივალზე არ ყოფნის მიზეზი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება არ ყოფილა...

„გაჩეჩილი კახა“ – ასე უწოდა ნიკიტა ხრუშჩოვმა „მიფრინავენ წეროების“ მთავარ გმირს ვერონიკას (მსახიობი ტატინა სამოილოვა). საბჭოთა ხელისუფლების გალიზიანების მიზეზი იყო ის, რომ ფილმის მთავარი გმირი არ იყო სტალინი და არც ბრძოლის ველზე გმირულად დაცემული მეომარი, არამედ იყო შეყვარებული ახალგაზრდა ქალი, რომლისთვისაც უპირველესი პრიორიტეტი საბჭოთა კავშირი კი არა, ოჯახური ბედნიერება და საყვარელი კაცია. მას შემდეგ, რაც ვერონიკას შეყვარებული ფრონტზე მოხალისედ მიდის, იგი სხვა კაცზე თხოვდება, სწორედ ეს გახდა ფილმის „დანუნების“ მიზეზი და მსახიობი საბჭოთა ხელისუფლებამ მოლაღატედ და მეძავად შერაცხა.

ther Stalin nor any hero fallen on battlefield were featuring as main characters in the film; instead, it was a young woman fallen in love, for whom family happiness and a beloved man were the key priorities rather than the Soviet Union. After Veronika's boyfriend enlists in military service to go to war as a volunteer, she marries another man. Just this became the reason for the film's "disapproval" and the Soviet government denounced the actress as a betrayer and a prostitute.

Later, the Director of the Cannes Film Festival brought the Palme d'Or (Golden Palm) to Kalatozov's home, while in 1966, when Claude Lelouch was himself awarded for his immortal film "A Man and A Woman", he said: "First of all, I am grateful to Mikheil Kalatozov, whose "Cranes" have completely changed my life."

Soviet censorship did not leave the Georgian director alone even after Stalin's death. He was constantly accused of "formalism", but actually nobody knows what the real reason for his departure from Georgia was. In



მოგვიანებით კანის ფესტივალის დირექტორმა ოქროს „პალმის რტო“ კალატოზოვს სახლში მიუტანა, ხოლო 1966 წელს, როდესაც თავად კლოდ ლელუშმა აიღო ჯილდო უკვდავი სურათისთვის „ქალი და მამაკაცი“, თქვა: „მე, პირველ რიგში, მადლიერი ვარ მიხეილ კალატოზოვის, რომლის „წეროებმაც“ ჩემი ცხოვრება მთლიანად შეცვალეს.“

ქართველ რეჟისორს საბჭოთა ცენზურა სტალინის გარდაცვალების შემდგომაც თან სდევდა. „ფორმალიზმი“ იყო ბრალდება, რაშიც მუდმივად ადანაშაულებდნენ, თუმცა, არავინ იცის რა იყო რეალური მიზეზი მისი საქართველოდან გადახვევნისა. 1933 წელს მიხეილ კალატოზოვილმა ქვეყანა დატოვა და გახდა მიხეილ კალატოზოვი. ამის შემდეგ, უამრავი მოწვევის მიუხედავად, იგი სამშობლოში აღარ ჩამოსულა. მხოლოდ 1970 წელს, გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე დაესწრო „წითელი კარვის“ პრემიერას, რომელიც თბილისში გაიმართა.

1933 Mikheil Kalatozishvili left the country and became Mikheil Kalatozov. Afterwards, despite numerous invitations, he never returned to his homeland. Only in 1970, three days before his death, he attended the premiere screening of "The Red Tent" in Tbilisi.

"This is a small family secret," says Ana Kalatozishvili. "He did not like to speak about the reasons of his departure from Georgia and therefore, we do not talk about it either."

He never arrived in Georgia, but till the end of his life he was an active supporter of Georgian culture, Georgian youth and Tbilisi Dinamo. All his works are accompanied by Kalatozov's unchanged style – massive, dynamic episodes, naturalism of characters, dominance of human feelings and what is most important – an amazing visual work. Sergey Urusevsky, a cinematographer of the Cranes Are Flying, gained the world recognition with this film. One of the most famous episodes from the film is the death of Boris, Veronika's boyfriend, circling image of birch trees and a feeling of

„ეს პატარა ოჯახური საიდუმლოა, – ამბობს ანა კალატოზიშვილი, რატომ წავიდა საქართველოდან კალატოზოვი ამაზე მას ლაპარაკი არ უყვარდა, ამიტომ არც ჩვენ ვლაპარაკობთ“.

საქართველოში არ ჩამოდიოდა, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე გულშემატკივრობდა ქართულ კულტურას, ქართველ ახალგაზრდებს და თბილისის „დინამოს“. მის ყველა ნამუშევარს მიჰყვება კალატოზოვის უცვლელი ხელწერა – მასობრივი, დინამიური კადრები, პერსონაჟების ბუნებრიობა, ადამიანური შეგრძნებების დომინირება და ყველაზე მთავარი გასაოცარი ვიზუალური ნამუშევარი. „მიფრინავენ წეროების“ ოპერატორმა სერგეი ურუსესკიმ ამ ფილმით მსოფლიო აღიარება მოიპოვა. ფილმიდან ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კადრია ვერონიკას შეყვარებულის – ბორისის სიკვდილი, დატრიალებული არყის ხეები და ნამის მესხედში გადმოცემული არშემდგარი ბედნიერების განცდა. სწორედ ამ კადრებმა დაამკვიდრა კინემატოგრაფიაში ტერმინი და მეთოდი „სუბიექტური კამერა“. მოსფილმშიც კი, სადაც არ მოსწონდათ კალატოზოვის ფილმები, ლეგენდებს ჰყვებოდნენ მისი ფილმების ოპერატორულ ნამუშევარზე. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან კალატოზოვი მისი კარიერის დასაწყისში, სწორედ, ოპერატორი იყო და, რეჟისურასთან ერთად, რამდენიმე ფილმს თავადვე იღებდა. მისი პირველი რეჟისორული და ოპერატორული ნამუშევარი „ჯიმ შვანთე“ იყო.

რუსეთმა კალატოზოვი ვერ მიიღო, შესაძლოა იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირში პირველი და უკანასკნელი „ოქროს პალმის რტოს“ მფლობელი ქართველი იყო და ვერც ერთმა რუსმა რეჟისორმა ამ ჯილდოს მიღება ვერც „წეროებამდე“ და ვერც „წეროების“ შემდეგ ვერ შეძლო. სამაგიეროდ, „მიფრინავენ წეროები“ თბილისმა მიიჩნია ქართული კინოს ტრიუმფად. საბჭოთა კრიტიკის მიუხედავად, კალატოზოვმა მსოფლიო აღიარება მოიპოვა და დღეს, ქართველი კინორეჟისორის ფილმებს ამერიკულ კინოსკოლებში ასწავლიან. უფრო მეტიც, კალატოზოვის ფილმის „მე – კუბას“ საერთაშორისო საავტორო უფლებების მფლობელები არიან ფრენსის ფორდ კოპოლა და მარტინ სკორსეზე. ამ ფილმის მიხედვით ამერიკაში რეჟისურასა და ოპერატორის ხელოვნებას ასწავლიან.

მიხეილ კალატოზოვი მეგობრობდა ჩარლი ჩაპლინთან, სარტრთან, პიკასოსთან, ფელინისთან და კუროსავასთან. მსოფლიო კულტურის ბუმბერაზები მასთან ერთად ფოტოებს იღებდნენ და მეგობრულ წერილებს სწერდნენ – ეს იყო მიხეილ კალატოზოვის ყოველდღიურობა. „მიფრინავენ წეროები“ კი უკვე 57 წელია მთელ მსოფლიოში ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფილმად მიიჩნევა.



პაბლო პიკასოს მიერ მიხეილ კალატოზოვისთვის მიწერილი წერილი

A letter written by Pablo Picasso addressed to Mikheil Kalatozov



მიხეილ კალატოზოვი ჩარლი ჩაპლინთან ერთად
Mikheil Kalatozov and Charlie Chaplin



failed happiness shown in a one-hundredth of a second. Just these episodes paved the way for the establishment of a term and a method in cinematography – “subjective camera.” Even in Mosfilm, where Kalatozov’s films were not welcomed, various legends were told about cinematographic work in his films. It is no surprise because at the beginning of his career Kalatozov was simultaneously a cameraman and a director. “Jim Shvante” was his first film, where he acted simultaneously as a director and a cameraman.

Russia failed to accept Kalatozov probably because this Georgian man became the owner of the first and the last Golden Palm in the Soviet Union; none of Russian directors managed to obtain this award either before or after the “Cranes”. But Tbilisi recognized “The Cranes Are Flying” as a triumph of Georgian cinematography. Despite Soviet criticism, Kalatozov gained the world recognition and today his films are taught at the American film schools. Moreover, Francis Ford Coppola and Martin Scorsese are the owners of international copyright of the film “I am Cuba” by Mikheil Kalatozov. Film direction and cinematographic art are taught in the United States according to this film.

Mikheil Kalatozov was a friend of Charlie Chaplin, Sartre, Picasso, Fellini and Kurosawa. The world famous people were taking photos with him and sending friendly letters to him – it was Mikheil Kalatozov’s everyday life. It is 57 years already that “The Cranes Are Flying” is recognized as one of the best films of all times throughout the world.



„მიფრინავენ წეროებისთვის“ მიხეილ კალატოზოვი „ოქროს პალმის რტოს“ ლაურეატი გახდა.

Mikheil Kalatozov was awarded with Palme d’Or for “The Cranes Are Flying”.



ქართული სამეფო შატო GEORGIAN ROYAL CHÂTEAUX

ლიკა ბერაია
LIKA BERAIA



შატო მუხრანი პირველი ქართული შატოა, რომლის საქმიანობაც მეღვინეობის იმ ტრადიციის გაგრძელებაა, რომელსაც ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელმა ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონმა, ჯერ კიდევ 1878 წელს ჩაუყარა საფუძველი.

იმ დროიდან მოყოლებული მუხრანბატონის კომპანია, რომელიც ფრანგული შატოს პრინციპზე იყო მოწყობილი, არა მარტო მეღვინეობის სანარმოდ, უმნიშვნელოვანეს სამეურნეო და კულტურულ ცენტრად იქცა. აქ ინერგებოდა ყველაზე გაბედული ინოვაციები, შრომის კაპიტალისტური ელემენტები, ახალი მანქანა-დანადგარები და ტექნოლოგიები. სწორედ აქედან განხორციელდა

Château Mukhrani is the first Georgian château working to continue the tradition of winery founded by a representative of the Bagrationi Dynasty, Ivane Mukhranbatoni as early as in 1978.

Since then, the company of Mukhranbatoni founded on the principles of a French Château has grown to be not only a wine producer but also a very important agricultural and cultural center, where the bravest of innovations were introduced, including capitalistic elements of labor, new equipment, machinery and technologies. This is where Georgian wine was first exported from, this is where the first Georgian sparkling wine was bottled and this is where the first biggest international recognition of Georgian wine started and resulted in





შატო მუხრანი არის პირველი და ერთადერთი ქართული სამეფო შატო.

Château Mukhrani is the first and the only Georgian royal château.

ქართული ღვინის პირველი ექსპორტი, დაიბადა ბოთლში ჩამოსხმული პირველი ცერიალა ღვინო. აქედან დაიწყო ქართული ღვინის პირველი დიდი აღიარება მსოფლიოში, რაც აისახა პარიზისა და მოსკოვის გამოფენების დიდ ოქროს მედლებში და სხვა, იქამდე არნახულ, საერთაშორისო ჯილდოებშიც.

huge golden medals during Paris and Moscow exhibitions, and other awards that were never before seen at that time.

During the Soviet period the place was completely destroyed. **“When we came here, roofing of Mukhranbatoni Palace had completely fallen off. Nothing more but shaken walls, basements filled with soil and deserted garden from once a brilliant palace. The name of Ivane Mukhranbatoni itself and the business were similarly covered in dirt and soil”,** – says château historian Akaki Gelashvili.





საბჭოთა კავშირის პერიოდში აქაურობა სრულად განადგურდა. „როცა ჩვენ აქ მოვედით, მუხრანბატონის სასახლეს მართლაც ბოლომდე ჰქონდა ჩანგრეული ბანი. ერთ დროს ბრწყინვალე სასახლის ადგილას დაგვხვდა მხოლოდ მორყეული კედლები, მინით ამოვსებული სარდაფები და გაუდაბურებული ბაღი. ასევე, მიწა და მტვერი ჰქონდა გადაფარებული თავად ივანე მუხრანბატონის სახელს და საქმეს“, – ამბობს შატოს ისტორიკოსი აკაკი გელაშვილი.

მალევე ქართველი და უცხოელი ინვესტორების დახმარებით დაიწყო სასახლის, სარდაფების, წარმოებისა და ბაღის რეაბილიტაცია, რის შედეგადაც მუხრანბატონისეულმა მარანმა დაიბრუნა ძველი იერსახე. ნლების წინ მინით ამოვსებულ ნანგრევებში ახლა უკვე ღვინის სურნელი იგრძნობა და ისევე, როგორც საუკუნეების წინ, ახლაც უამრავი სტუმარი ირევა.

შატო მუხრანი არის პირველი და ერთადერთი ქართული სამეფო შატო, რომელიც აერთიანებს ოთხ ძირითად ფასეულობას – ვენახს, მარანს, სასახლეს და ისტორიას. მისი მთავარი უპირატესობაა სიმართლე, ანუ აქ არაფერი არაა გამოგონილი და ყველაფერი თითქმის ისევეა, როგორც საუკუნენახევრის წინ, სამეფო სახლის სახელოვანი შთამომავლის ივანე მუხრანბატონის ეპოქაში.

Soon with the help of Georgian and foreign investors, rehabilitation of the palace, the basements, the production and the garden started. As a result, Mukhranbatoni's wine cellar returned to its old appearance, and the ruins that used to be filled with soil years ago is now filled with scent of wine, hosting a lot of guests like it did centuries ago.

Château Mukhrani is the first and the only Georgian royal château incorporating four core values: vineyard, wine-cellar, palace and history. The most important thing about the château is the truth, meaning that everything is genuine and exactly the way it used to be a century and a half ago, in the epoch of famous descendant of the royal palace, Ivane Mukhranbatoni.

The greatest Georgian principedom Samukhranbatono was founded in 1512. Its members included up to 60 villages and more than 1500 families. Due to the geopolitical location, the principedom immediately became an important economic, strategic, cultural and educational region.

Archaeological excavations in the area have revealed traces of the most ancient (III millennial BC) and continuous cultural winery and wine growing practices in Mukhrani Region. However, due to constant warfare and economic hardships, the region never had a chance to grow and access international markets.

ყველაზე დიდი ქართული სათავადო – სამუხრანბატონო 1512 წლიდან დაარსდა. იგი 60-მდე სოფელსა და 1500-ზე მეტ ოჯახს აერთიანებდა. ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, სათავადო მომენტალურად იქცა უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ, სტრატეგიულ და კულტურულ-საგანმანათლებლო რეგიონად.

აქ წარმოებული არქეოლოგიური გათხრები მუხრანის რეგიონში კულტურული მემკვიდრეობა-მეღვინეობის უძველეს (ძვ. წ. აღ. III ათასწლეული) და უწყვეტ კვალს ადასტურებს, მაგრამ, მუდმივი ომიანობისა და გაჭირვების გამო, რეგიონს არ მიეცა მასშტაბების გაზრდისა და საერთაშორისო სასაქონლო ურთიერთობაში ჩაბმის შესაძლებლობა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან იმპერიაში დაინტერესდნენ საქართველოში მემკვიდრეობა-მეღვინეობის განვითარებით და დაარსდა რამდენიმე მსხვილი სამეღვინეო კომპანია, რომელთა შორის მუხრანბატონის კომპანიის უპირატესობა აშკარა იყო. ეს აიხსნებოდა იმით, რომ ხარისხიანი ყურძნის მისაღები მიწების გარდა, რეგიონი ახლოს იყო რკინიგზასთან, რაც მას დედაქალაქის გარდა, ზღვაზე გასასვლელთანაც აკავშირებდა, აწყობილი იყო მორწყვის მექანიზმი, არსებობდა იაფი და ღირებული

Starting from the second half of the 19th century, the empire took an interest in the development of winery and wine-growing in Georgia and several large wine-producing companies were established, among which Mukhranbatoni Company was the most successful considering that in addition to growing quality grapes the region was also very close to the railway and therefore, had an access to the sea; it had an irrigation system, cheap and specialized workers, etc. Nevertheless, Ivane Mukhranbatoni decided to study European technologies in person and travelled to France in 1876. After coming back, he hired French and Georgian specialists to introduce the bold concept of chateau.

A little earlier, in 1873, Ivane Mukhranbatoni started building a palace in his ancestral estate that he completed in 12 years. The palace was designed by French architects, while the garden was designed by Versailles gardener.

Unique palace of Mukhranbatoni with all of its grandeur -Rococo-style Italian furniture, first European parquet, sparkling crystal chandeliers and gold-plated Italian royal was presented to public in 1885.

The palace set in the most beautiful nature and dubbed "Gem of Mukhrani" was also famous by a concert hall that could hold 150 people. The crown jewel of the place was a fountain in the garden, dispensing





გამოცდილი მუშახელი და სხვა. და მაინც, ივანე მუხრან-ბატონმა საჭიროდ ჩათვალა პირადად გაცნობოდა ევროპაში არსებულ ტექნოლოგიებს, რა მიზნითაც 1876 წელს იმოგზაურა საფრანგეთში, იქიდან დაბრუნებისთანავე კი, დაქირავებულ ფრანგ და ქართველ სპეციალისტებთან ერთად, დაიწყო შატოს კონცეფციის გაბედული დანერგვა.

ცოტა ხნით ადრე, 1873 წელს კი ივანე მუხრანბატონმა საგვარეულო მამულში წამოიწყო სასახლის მშენებლობა, რომელიც 12 წლის შემდეგ დასრულდა. სასახლე აიგო ფრანგი არქიტექტორების პროექტით, ბალი კი ვერსალის მებაღეს დაუპროექტებია.

მუხრანბატონის უნიკალური სასახლე მთელი თავისი გრანდიოზულობით – როკოკოს სტილის მოოქროვილი იტალიური ავეჯით, პირველი ევროპული პარკეტით, ბრწყინვალე ბროლის ქალებითა და მოოქროვილი იტალიური როიალით – 1885 წელს წარსდგა მნახველთა წინაშე.

ულამაზეს ბუნებაში ჩასმული სასახლე, რომელსაც „მუხრანის თვალი“ შეარქვეს, 150-კაციანი საკონცერტო დარბაზითაც იყო ცნობილი. ყველაფერს კი აგვირგვინებდა სასახლის წინ, ბაღში მდებარე შადრევანი, საიდანაც, გადმოცემის მიხედვით, წყლის ნაცვლად ცქრიალა ღვინო გადმოიფრქვეოდა. ეს უზარმაზარი მამული და პირველი

sparkling wine instead of water. The huge estate and the very first Georgian chateau became the cultural center of Georgian elite, hosting many guests, famous Georgian and foreign public figures, writers and poets including Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Platon Ioseliani, Ivane Petriashvili, Arthur Leist, Davit Kldiashvili, Gigo Gabashvili and others. It is well-known that in 1882 Mukhranbatoni, as marshal of Georgian aristocracy, hosted the emperor himself.

One of the main sights of the estate is its basements, connected to the palace and the factory with a tunnel. Currently original appearance of the estate has been completely restored.

Chateau Mukhrani founded on these traditions and made even more special by unique soil, climate, ancient traditions of winery in addition to the unique history has created wine with special character. Wines of young Mukhrani have a special strong structure and rich fruity flavor; nevertheless, they are in constant search and development in Chateau Mukhrani.

Chateau Mukhrani wines are made special by their ancestral heritage that mirrors spiritual values of humans. Rigorous and selective grape picking and use of well-tested traditional wine production methods results in perfect finishing flavor of wines. The process of aging of wine in oak barrels from 12 to 18 months adds extra harmony to Chateau Mukhrani wines that have been



ქართული შატო ქართული ელიტის კულტურულ ცენტრად იქცა, რომელიც მასპინძლობდა უამრავ სტუმარს, ცნობილ ქართველ და უცხოელ საზოგადო მოღვაწეებს, მწერლებსა და პოეტებს, რომელთა შორისაც იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, პლატონ იოსელიანი, ივანე პეტრიაშვილი, არტურ ლაისტი, დავით კლდიაშვილი, გიგო გაბაშვილი და სხვა. ცნობილია, რომ 1882 წელს მუხრანბატონს, როგორც ქართული არისტოკრატიის მარშალს, თვით იმპერატორისთვისაც კი უმასპინძლია.

მამულის ერთ-ერთ მთავარი ღირსშესანიშნაობა მისი სარდაფებია, რომლის მთავარი გვირაბი სასახლესა და ქარხანას აკავშირებს. დღეს, სასახლის სარდაფების თავდაპირველი იერსახე თითქმის სრულად არის აღდგენილი.

ამ ტრადიციებზე დაფუძნებული შატო მუხრანი, რომელიც, უნიკალურ ისტორიასთან ერთად, უნიკალური ნიადაგით, კლიმატით, მეღვინეობის უძველესი ტრადიციებითაა გამყარებული, აყალიბებს ღვინის განსაკუთრებულ ხასიათს. ახალგაზრდა მუხრანის ღვინოები გამოირჩევა ძლიერი სტრუქტურითა და მდიდარი ხილის ინტენსიურობით, თუმცა, აქ მაინც მუდმივად აგრძელებენ ძიებასა და განვითარებას.

made famous by their unique combination of Georgian traditions and universally recognized basic methods of wine-making.

The name was revived in 2003, when an international group MARRUSIA Beverages founded company Château Mukhrani with Georgian partners. Their aim was to restore past glory of the estate with the use of contemporary traditions and technologies.

After growing vineyards, construction of Château Mukhrani wine factory equipped with contemporary technologies was completed in 2007, where wine is made from locally grown grapes only. Vineyards are at a close proximity to basements and it takes maximum of 10 minute to get the grapes to their point of destination.

Château Mukhrani is currently producing Georgian wines and alcoholic beverage – Chacha, distributed both in Georgia and abroad. Rkatsiteli, Goruli Mtsvane, Sauvignon Blanc, Saperavi, Cabernet, Shvkapito, Chacha and Moscato are all produced under the name of Château Mukhrani and have already gained the name of premium class alcoholic beverages in the world market. The company is equipped with contemporary technologies and meets world standards of food safety and quality.



ყველა ფოტო: შატო მუხრანი
All Photos: Shato Mukhrani

შატო მუხრანის ღვინოებს განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებს წინაპართა მემკვიდრეობა, რომელშიც ადამიანთა სულიერი ფასეულობანია ასახული. მკაცრი, შერჩევითი ყურძნის კრეფა და კარგად გამოცდილი ტრადიციული ღვინის დამზადების მეთოდების გამოყენება განაპირობებს ღვინოების საბოლოო, სრულყოფილ გემოს. 12-დან 18-თვემდე მუხის კასრებში დავარგების პროცესი კი „შატო მუხრანის“ ღვინოებს დამატებით ჰარმონიულობას სძენს. სწორედ ამიტომ, „შატო მუხრანის“ ღვინოებმა გაითქვა სახელი ქართული ტრადიციებისა და მსოფლიოში აღიარებული ძირითადი მეთოდების უნიკალური კომბინაციით.



ამ სახელს ხელახლა 2003 წლიდან ჩაეყარა საფუძველი, როცა საერთაშორისო ჯგუფმა „MARRUSIA Beverages“-მა ქართველ პარტნიორებთან ერთად დააფუძნა კომპანია „შატო მუხრანი“. მათი უმთავრესი მიზანი თანამედროვე და ტრადიციული ტექნოლოგიების გამოყენებით მამულისთვის გარდასული დიდების დაბრუნება და აღდგენა იყო.

ვენახების გაშენების შემდეგ, 2007 წელს დასრულდა „შატო მუხრანის“ თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ღვინის ქარხნის მშენებლობა, სადაც ღვინის დაყენება მხოლოდ მის ვენახებში მოყვანილი ყურძნით ხდება. ვენახები სარდაფებთან ახლოსაა გაშენებული და დანიშნულების ადგილამდე ყურძნის მისატანად მაქსიმუმ 10 წუთია საჭირო.

„შატო მუხრანი“ ამჟამად ქართულ ღვინოებსა და ალკოჰოლურ სასმელს – ჭაჭას აწარმოებს, რომლის დისტრიბუციაც ხორციელდება როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. რქანი-თელი, გორული მწვანე, სოვინიონ ბლანიში, საფერავი, კაბერნე, შავკაპიტო, ჭაჭა და მუსკატი – ყველა ეს სასმელი შატო მუხრანის სახელს ატარებს და მათ მსოფლიო ბაზარზე უკვე დაიმკვიდრეს პრემიალური კლასის სასმელების სახელი. კომპანია თანამედროვე ტექნოლოგიითაა აღჭურვილი და შეესაბამება სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მართვის მსოფლიო სტანდარტებს.

„შატო მუხრანის“ ღვინოების ხარისხი არაერთ საერთაშორისო კონკურსზე იქნა აღიარებული. ჩინეთის ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ საერთაშორისო კონკურსზე – „CWSA Best Value 2014“ მათ 4 ოქროს მედალი მოიპოვეს (მუხრანბატონის რეზერვი „გორული მწვანე 2010“ – ორმაგი ოქრო, მუხრანბატონის რეზერვი „საფერავი 2010“ – ოქრო, „შავკაპიტო 2012“ – ორმაგი ოქრო, „რქანი-თელი 2011“ კი – ოქრო).

დასახელებული ღვინოებიდან მუხრანბატონის რეზერვი („საფერავი“ და „გორული მწვანე“) კომპანია „შატო მუხრანის“ ყველაზე კეთილშობილ და ექსკლუზიურ სახეობას განეკუთვნება. მოსავლის აღებისას თითოეული მტევნის შერჩევა, ნატურალური დუღილის პროცესი და კავკასიური მუხის კასრებში დაძველება ამ ღვინოებს ჭეშმარიტად ქართულსა და მეფურად კეთილშობილს ხდის.

მუხრანში უკვე აღდგენილია ივანე მუხრანბატონის საჯინბოც (ივანე მუხრანბატონის 80-მდე ცხენი ჰყავდა), სადაც ნახავთ ინგლისური და არაბული ჯიშის თერთმეტ ულამაზეს ცხენს.

კვლავ იბრუნებს ხელოვნების, შემეცნებისა და კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრის ამბიციას სასახლე, ბაღი და ეზო. აქ ტურისტებს და შატოს სტუმრებს, დასვენებისა და გართობის გარდა, საშუალება აქვთ თავიანთი ხელით ამოავლონ ტრადიციული ქართული ჩურჩხელა, თონეში ჩააყარან პური, ისეირნონ არაბული და ინგლისური ცხენებით.

შატო მუხრანს, რომელიც დედაქალაქიდან სულ რაღაც 25 წუთის სავალზეა, უამრავი ქართველი და უცხოელი დამთვალიერებელი ჰყავს. მათ ინტერესს ზრდის ღვინის ტურები, რომელიც მნახველს ქართული სამეფო ოჯახის ისტორიასაც აზიარებს და მეღვინეობის უძველეს ტრადიციებსაც აცნობს.

აღსანიშნავია, რომ კომპანია „შატო მუხრანი“ 5 რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელია.

The quality of Château Mukhrani wines have been recognized at a number of international competitions. At one of the most prestigious international Chinese Wine and Spirits Competition CWSA Best Value 2014 they won four gold medals (Mukhranbatoni Reserve Goruli Mtsvane 2010 won two gold medals, Mukhranbatoni Reserve Saperavi 2010 - two gold medals, Shavkapito 2012 – two gold medals and Rkatsiteli won a gold medal).

Out of these wines Mukhranbatoni Reserve (Saperavi and Goruli Mtsvane) are finest and the most exclusive types of wines of Château Mukhrani. In the process of harvesting individual bunches of grapes are selected, natural process of boiling and aging in Caucasian Oak barrels make these wines genuinely Georgian and royally fine.

Stable of Ivane Mukhranbatoni has already been restored in Mukhrani (Ivane Mukhranbatoni had up to 80 horses) where you can see 11 of the most beautiful English and Arabic horses.

The image of the palace, the garden and the yard are gradually gaining their historic importance of being the center of culture, education and art. In addition to leisure and entertainment, tourists and Château visitors are also able to make their own Churchkhelas by dipping them in Saperavi, bake their own breads in traditional clay ovens, ride Arabic and English horses.

Château Mukhrani, which is about 25 minutes of drive away from the city is visited by many Georgian and foreign guests, who are particularly interested in wine tours that also allow visitors to learn about the history of the Georgian royal family as well as the ancient traditions of wine-making.

Notably, the company Château Mukhrani owns five registered trademarks.


სასაქონლო ნიშანი

სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირდება საქართველოში.

TRADEMARK

Trademark is a sign or combination of signs that can be represented graphically and is capable of distinguishing the goods or services or both of one undertaking from those of other undertakings. Trademark shall be registered at SAKPATENTI.

მხატვარი კინოში
ARTIST IN CINEMA



ლიკა ბერაია
LIKA BERAIA

გოგი მიქელაძე
Gogi Mikeladze

როდესაც კითხულობთ წიგნს, რომლის ეკრანიზაციაც არ გინახავთ, ალბათ, წარმოიდგენთ ხოლმე თუ როგორი შეიძლება იყოს ესა თუ ის გმირი. რა აცვია, როგორ გამოიყურება, როგორ ვარცხნილობას ატარებს. მეტიც, შესაძლოა იმის წარმოსახვაც კი შეძლოთ სად ცხოვრობს, სად მუშაობს ან როგორი როიალი უდგას ოთახში... მაგრამ, თუკი თქვენ ამის დახატვა მოგიწევთ, საეჭვოა ისეთი სიზუსტით შეძლოთ ფანტაზიის ფურცლებზე გადატანა, რომ შემდეგ თქვენი ნახატები ფილმებად იქცეს. როგორც ამბობენ, წარმოსახვის ყველაზე დიდი უნარი კინომხატვრებს აქვთ და ისინი სულ სხვანაირად ხატავენ, რადგან სხვანაირად ხედავენ... კინომხატვრის გარეშე კინო უბრალოდ ვერ იარსებებდა. მხატვარი კინოში ის ადამიანია, რომელიც გადაღებების დაწყებამდე ეცნობა სცენარს, წარმოიდგენს მსახიობებს, ახლოს გაიცნობს მათ, შემდეგ ქმნის ესკიზებს, რაც სცენარის ცალკეულ ეპიზოდებს ასახავს. ამის შემდეგ კი მხატვრის ესკიზების მიხედვით იკერება კოსტიუმები, ეწყობა დეკორაციები და გადასაღები მოედანიც მზად არის...

არაერთი საერთაშორისო ჯილდო, მსოფლიოში აღიარებული ფილმები და გამორჩეული, ზედმიწევნით მეტყველი მხატვრული გაფორმება. როდესაც გოგი მიქელაძის ნამუშევრებს უყურებთ, ვერც კი წარმოიდგენთ, რომ ეს გარემო მხატვრული დეკორაციაა, თითქოს ყველაფერი რეალურ დროში არსებობს. „მონანიება“, „ეი, მაესტრო“,

Whenever you read a book that you have not seen as a movie, you probably imagine what its characters look like, what they wear, how they look, and what kind of haircut they have. You may also go as far as imagining where they live, where they work or what kind of piano they have in their room but if you had to draw all this on a paper, I doubt that you would be able to translate your ideas into imagery in a way that your drawings then become movies. They say that art directors are most visionary as they see things differently... Without them movies would simply not exist. Art director is the person who reads the script before the shooting starts, visualizes characters, gets to know with actors and actresses, and creates sketches for individual episodes of the script. Based on his sketches costumes are created, decorations are put in place and the set is ready for shooting...

A number of international awards, internationally recognized films, very special and very expressing artistic decoration... When watching movies that Gogi Mikeladze worked on, one does not even suspect that the environment is made of artistic decorations only as everything seems real-time and genuine. *The Repentance, Hey Maestro, Three Days of Hot Summer, Everyone Wants Love, the Fastest in the World* and many other movies favored by the audience would not have been the same without Gogi Mikeladze's vision.

“Once I said to Tengiz Abuladze – I must quit my job as an art director, cinema takes a lot of my time, and he agreed. Next day he called me and offered to work on the Repentance. I certain-

„ცხელი ზაფხულის სამი დღე“, „სიყვარული ყველას უნდა“, „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“ და კიდევ მრავალრიცხოვანი საყვარელი უამრავი ფილმი არავინ იცის იქნებოდა თუ არა ასეთი შთამბეჭდავი გოგი მიქელაძის მხატვრული გაფორმების გარეშე.

„ერთხელ, თენგიზ აბულაძეს ვუთხარი – კინომხატვრობას თავი უნდა დავანებო, ძალიან დიდ დროს მართმევს-მეთქი. მართალი ხარო, დამეთანხმა. მეორე დღეს კი დამირეკა და „მონანიებაზე“ მუშაობა შემომთავაზა. რა თქმა უნდა, დავთანხმდი. როდესაც სცენარი წავიკითხე, ვერ დავიჯერე, რომ ოდესმე გადავიღებდით, რადგან მაშინდელი დროისთვის ძალიან თამამი სცენარი იყო.იმ დროს ყველა კინოფილმის სცენარი, სატელევიზიო ფილმების სცენარების გარდა, იგზავნებოდა და მტკიცდებოდა მოსკოვში. „მონანიებას“ ძალიან გულშემატკივრობდა ედუარდ შევარდნაძე და სწორედ მან გვიჩვენა, ფილმი გაგვეფორმებინა როგორც „სატელევიზიო ფილმი“, რადგან, ამ შემთხვევაში, სცენარის გაგზავნა მოსკოვში აღარ მოგვიწევდა. ასეც მოვიქეცი და მონანიებას დღემდე „სატელევიზიო ფილმი“ აწერია“, – იხსენებს გოგი მიქელაძე.

ly agreed. When I read the script, I thought we could never make it into a movie as it was a very bold script for that time. It was the time when movie scripts except for television movies were sent in Moscow for approval. Eduard Shevardnadze was rooting for the Repentance very much and he suggested that we present it as a television movie as we would no longer have to send it in Moscow. We did it and it still says ‘television movie’ in its credits”, – recalls Gogi Mikeladze.

Similar to other creators, Gogi Mikeladze also favors some of his works more than others but he says that the most important thing is who you work with when shooting a movie. He worked on *Hey, Maestro!* and *Three Days of Hot Summer* with a special enthusiasm. In “Three Days of Hot Summer” Kakhi Kavsadze created a very different character. He played an geologist who is very passionate about his work. Kavsadze’s character discovers a very important former settlement and starts petitioning the authorities for funds to restore the settlement. The film clearly illustrates the idleness of Soviet authorities. Eventually, the lead character ends up burying his own discovery underground, in hopes of having the future generation re-discover it, and then he dies. To Gogi Mikeladze the film was an extremely interesting project to work on.



როგორც ყველა შემოქმედს, გოგი მიქელაძესაც აქვს საყვარელი ნამუშევრები. თუმცა, ამბობს, რომ ყველაზე მთავარია ის, თუ ვისთან მუშაობ ფილმზე გადაღებების დროს. ფილმებმა „ეი, მანეტრო“ და „ცხელი ზაფხულის სამი დღე“ მხატვრის განსაკუთრებული ენთუზიაზმი გამოიწვია. ფილმში „ცხელი ზაფხულის სამი დღე“ კახი კავსაძემ განსხვავებული სახე შექმნა, ითამაშა არქეოლოგი, რომელიც შეყვარებულია თავის საქმეზე. კავსაძის გმირი აღმოაჩინს ძალიან მნიშვნელოვან ნასახლარს და იწყებს სიარულს ინსტანციებიდან ინსტანციებში, რომ ნასახლარის რესტავრაცია დაუფინანსონ. ფილმში ღია ტექსტებითაა გადმოცემული საბჭოთა ხელისუფლების უუნარობა. ბოლოს, მთავარი გმირი მინას აყრის თავის აღმოჩენას და მარხავს, რათა მომავალმა თაობამ თავიდან აღმოაჩინოს, მერე კი კვდება. ეს ფილმი და სცენარი უაღრესად საინტერესო აღმოჩნდა ჩემთვის, – ამბობს გოგი მიქელაძე.

The film that he is very proud of was shown for only three days during Soviet times in Summer Movie Theatre. It was able to see the daylight again only after Georgia gained its independence.

One will rarely find an admirer of Georgian cinema who has not seen *Everyone Wants Love*. Gogi Mikeladze recalls that the script was very amusing and shooting of the movie was a lot of fun. *“Giorgi Shengelaia personally visited families, telling them – give me what you’re wearing and I’ll get you new ones instead, - and all of them agreed. This is how we collected costumes. As to the atelier that they are building in the movie, we had to actually build it.*

Gogi Mikeladze is currently working on a new film directed by Rusudan Glurjidze, Someone Else’s Home, set during the times of war in Abkhazia. It does not show the footage of war but its characters convey the tragedy with their own emotions. According to the storyline, an Abkhazian man’s family starts living in a house that used to be a home to Georgians. The film tells a story of how the new owner is getting used to someone else’s home, someone else’s things.





ფილმი, რომელზეც მუშაობა მხატვარს ასე ეამაყება, საბჭოთა ხელი-სუფლები დროს, მხოლოდ სამი დღით გაუშვეს კინოთეატრ „გაზაფხულში“, შემდეგ კი მოხსნეს ეკრანებიდან. ამ ფილმმა დღის სინათლე ხელახლა მხოლოდ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ იხილა.

ალბათ იშვიათია ქართული კინოს მოყვარული, რომელსაც ნანახი არ ექნება ფილმი „სიყვარული ყველას უნდა“. გოგი მიქელაძე იხსენებს, რომ სცენარი ძალიან სასაცილო იყო და გადაღებებიც მხიარულად მიმდინარეობდა. „გიორგი შენგელაია შედიოდა ოჯახებში და ეუბნებოდა მათ, მომეცით ეგ ტანსაცმელი რაც გაცვიათ და სამაგიეროდ ახალს გიყიდითო, რა თქმა უნდა ყველა თანხმდებოდა. ასე შეგროვდა კოსტიუმები. რაც შეეხება სამკერვალოს, რომელსაც ფილმში აშენებენ, ის მართლა ავაშენეთ გადაღებების დროს“.

ამჟამად, გოგი მიქელაძე რეჟისორ რუსუდან გლურჯიძის ახალ ფილმზე მუშაობს. „სხვისი სახლი“ – ასე ჰქვია ფილმს, რომელიც აფხაზეთის ომის პერიოდს ასახავს. ფილმში ომის კადრები არ არის, თუმცა, ტრაგედიას პერსონაჟები საკუთარი ემოციებით გადმოსცემენ. სცენარის მიხედვით ერთი აფხაზი კაცის ოჯახი სახლდება ქართველების ნასახლარში. ფილმი მოგვითხრობს, თუ როგორ ეგუება ახალი მეპატრონე სხვის სახლს, უცხო ნივთებს.

დიზაინი

დიზაინი არის პროდუქტის გარეგანი სახე, გამოსახულება. დიზაინი ექვემდებარება დაცვას, თუ მას აქვს სიახლე და ინდივიდუალურობა. დიზაინი რეგისტრირდება საქპატენტიში.


DESIGN

Design is an external face, appearance of the product. Legal protection shall be granted to a design if it is new and has individual character. Design shall be registered at SAKPATENTI.

ინტერვიუ თემურ ბაბლუანთან

INTERVIEW WITH TEMUR BABLUANI

სოფო კვინტრადზე
SOPHIE KVINTRADZE



თემურ ბაბლუანი
Temur Babluani

თითქმის 20-წლიანი ემიგრაციის მიუხედავად, თემურ ბაბლუანი ფიქრობს, რომ სამშობლოდან არასდროს წასულა. ამჟამად, ქართველი რეჟისორი ცხოვრობს და მოღვაწეობს საფრანგეთში. „ბელურების გადაფრენა“, „ძმა“, „უძინართა მზე“, „მემკვიდრეობა“ – თემურ ბაბლუანის ფილმებმა არა მხოლოდ საერთაშორისო აღიარება, არამედ ყველაზე მთავარი – ხალხის სიყვარული მოიპოვა. „მემკვიდრეობის“ გარდა, რომელიც თემურ ბაბლუანმა შვილთან გელა ბაბლუანთან ერთად გადაიღო, მისი ფილმები საბჭოთა პერიოდის საქართველოშია შექმნილი. მიუხედავად ამისა, ბაბლუანი ყოველთვის ახერხებდა საბჭოთა ესთეტიკის გვერდის ავლით განუმეორებელი კინოსახეები შეექმნა. ფილმი „უძინართა მზე“, რომელიც 1993 წელს ბერლინის კინოფესტივალზე საუკეთესო რეჟისურისთვის „ვერცხლის დათვით“ დაჯილდოვდა, თემურ ბაბლუანმა მამას მიუძღვნა. ორიგინალური სცენარი, განუმეორებელი მუსიკა, მსახიობების დაუვინყარი თამაში – ცხოვრებისეული ტრაგედიებითა და, ამავე დროს, იუმორით გაჯერებული ფილმი არავის ტოვებს გულგრილს. თემურ ბაბლუანს ჩვენ ვთხოვეთ მოეყოლა ამ ფილმის შექმნის ისტორია და კიდევ ბევრი საინტერესო რამ თავისი ცხოვრებიდან.

IP ბატონო თემურ, ახლახან დაბადების დღე გქონდათ და, პირველ რიგში, გილოცავთ! გისურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებებს!

– დიდი მადლობა.

IP როგორია თქვენი ცხოვრება პარიზში, თემურ ბაბლუანის ერთი ჩვეულებრივი დღე?

– არაფერი განსაკუთრებული. ვმუშაობ დილიდან საღამომდე, ხშირად შაბათ-კვირასაც. როდესაც მუშაობ სხვა არაფერი გახსოვს, არ აქვს მნიშვნელობა სად ხარ – პარიზში, ლენტეხში თუ ნიუ-იორკში.

Despite of 20-years long emigration, Teimuraz Babluani thinks that he has never left Georgia. Currently Georgian director lives and works in France. *The Flight of Sparrows*, *Brother*, *the Sun of the Sleepless*, *the Legacy* – Temur Babluani's movies have gained not only international recognition but the most important thing – love of the audience. Except the Legacy that Temur Babluani has directed together with his son Gela Babluani, his films have been made in the Soviet Georgia. Nevertheless, Temur Babluani was always able to create unique characters by circumventing the Soviet esthetics. *The Sun of the Sleepless* that won the best director's award at the film festival of Berlin in 1993 was dedicated by Temur Babluani to his father. The original script, unique score, unforgettable performance by actors – the movie saturated with real-life tragedies and humor touches hearts of every single viewer. We asked Temur Babluani to tell us about making of the film and many other interesting stories of his life.

IP You celebrated your birthday recently and I wanted to start by wishing you happy birthday. I wish you health and success!

– Thank you very much.

IP What is your life like in Paris? What is Temur Babluani's ordinary day like?

– Nothing special. I work from morning till night, often over the weekend. When I work I am completely consumed by what I am doing at that moment, and it does not matter where I am – in Paris, in Lentekhi or in New York.

IP In one of your interviews you said that you never left Georgia and that you miss your country very much. What is today's Georgia like through your own eyes?



IP ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენ ამბობთ, რომ არასდროს ნასულხართ საქართველოდან და რომ ძალიან გენატრებათ სამშობლო. როგორია თქვენი თვალით დანახული დღევანდელი საქართველო?

შეთანხმების ტექსტის მიხედვით, ჩამოყალიბდება ყოვლისმომცველი სისტემა, რათა გარანტირებულ იქნეს კონკრეტული ვადების ფარგლებში (6 წელი სამედიცინო პროდუქტებზე, 10 წელი მცენარეთა დაცვის პროდუქტებზე) იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, ფარულობა და არ გამოყენება, რომელიც წარმოდგენილია სამედიცინო პროდუქტების ბაზარზე განთავსების ნებართვის მიღების მიზნით (მაგ., წამლის რეგისტრაციისას) ან მცენარეთა დაცვის პროდუქტის სახელმწიფო რეგისტრაციისას.

„აღნიშნული ცვლილება ხელს უწყობს ფარმაცევტულ კომპანიებს, რათა მათ შექმნან ახალი მედიკამენტები. ბაზარზე დაშვებისათვის საჭირო მონაცემების (კლინიკური კვლევები, ცდები და ა.შ.) შემუშავება მოითხოვს დროის, ადამიანური რესურსებისა და თანხების დიდ ინვესტირებას. წამლების მწარმოებლებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, რათა მოახდინონ დანახარჯების ამოღება და ჰქონდეთ სტიმული ახალი მედიკამენტების შესაქმნელად, ამასთან, ისინი დაცულები უნდა იყვნენ, რომ მათი კონკურენტი არ დაეყრდნოს ან გამოიყენოს აღნიშნული მონაცემები.“

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ შეთანხმებით გათვალისწინებული ვადები აითვლება რომელიმე ერთ-ერთ მხარეში (ევროკავშირსა თუ საქართველოში) სამედიცინო პროდუქტის ბაზარზე პირველად დაშვებიდან ან რეგისტრაციიდან“, – აცხადებს ეკატერინე ეგუტია.

these drugs are protected by patents.

Moreover, amendments will also be introduced to the so called “supplementary protection certificate” for medicinal (for example, granting of additional protection terms to pediatric drugs will be regulated separately) and plant protection products.

According to the text of the Association Agreement, a comprehensive system will be established to guarantee within concrete timeframes (6 years for medicinal products and 10 years for plant protection products) the confidentiality, privacy and non-reliance of information that has been submitted to obtain market authorization for medicinal products (for example, when registering a drug) or for the state registration of a plant protection product.

“This amendment will encourage the pharmaceutical companies to create new drugs. Development of necessary test data for market access (clinical research, trials, etc.) requires huge investment of time, human and financial resources. Drug producers should be given an opportunity to reimburse their expenses that will encourage them to create new drugs. Simultaneously, they should have a guarantee that their competitors will not rely on or use these data.

It should also be noted that the test data protection term envisaged by the agreement is calculated from the initial entry or registration of a medicinal product on the market of one of the parties (EU or Georgia)”, – Ekaterine Egutia says.

Sakpatenti maintains that the introduction of compulsory licensing on the market of medicinal products will better serve public health objectives and produce more benefits for the population. As of today, the Patent Law of Georgia allows limitation of patent rights in certain emergency cases. As a result of amendments, Georgia will join the Doha Declaration on intellectual property and public health adopted by the World Trade Organization member states. Compulsory licensing will be introduced in the context of trade (for example, drug exports and imports), when in certain emergency cases, such as epidemics, disaster and so on, it will be possible to use drugs protected by patents without the permission of patent owners. These amendments will facilitate effective protection of public health.

Better protected intellectual property right is important for any investor, who plans to en-

საქპატენტში მიაჩნიათ, რომ იძულებითი ლიცენზირების შემოღება სამედიცინო პროდუქტების ბაზარზე გააუმჯობესებს საზოგადოებრივ ჯანდაცვას და მეტ სარგებელს მოუტანს მოსახლეობას. დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს საპატენტო კანონი, რიგ გადაუდებელ შემთხვევებში, უშვებს საპატენტო უფლებების შეზღუდვას. ცვლილებების შედეგად, საქართველო მიუერთდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მიერ მიღებულ ე.წ. „დოჰას დეკლარაციას“ ინტელექტუალური საკუთრებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის თაობაზე. შემოღებული იქნება იძულებითი ლიცენზირება ექსპორტ-იმპორტის კონტექსტში (მაგ., ნაშენების სხვა ქვეყანაში გასატანად ან საქართველოში შემოსატანად), როდესაც გარკვეულ გადაუდებელ შემთხვევებში, როგორცაა ეპიდემია, კატასტროფა და სხვა, პატენტ-მფლობელის ნებართვის გარეშე, შესაძლებელი ხდება პატენტით დაცული პრეპარატების გამოყენება. აღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეფექტურ დაცვას.

უკეთ დაცული ინტელექტუალური საკუთრების უფლება მნიშვნელოვანია ნებისმიერი ინვესტორისთვის, რომელიც აპირებს ქვეყნის ბაზარზე შემოსვლას. როგორც წესი, მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები ბაზრის წინასწარი შესწავლისას მათი უფლებების დაცულობის ხარისხსაც შეისწავლიან. ეკონომიკის სამინისტროში მიაჩნიათ, რომ ცვლილებები, რომლებიც ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მიმართულებით უნდა გატარდეს, გააჯანსაღებს ქვეყნის საინვესტიციო გარემოს.

„სამენარმეო საქმიანობის განხორციელების პროცესში ინვესტორებისთვის მნიშვნელოვანია საქართველოს ბაზარზე სათანადოდ იყოს დაცული მათი ინტელექტუალური საკუთრება ნებისმიერი ხელყოფისგან. შეთანხმების იმპლემენტაციის შედეგად საქართველოს კანონმდებლობა დაუახლოვდება ევროპულს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვისა და აღსრულების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებას, ასევე, ინოვაციური და შემოქმედებითი პროდუქტების წარმოებასა და კომერციალიზაციას“, – ამბობს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე მიხეილ ჯანელიძე.

„რა თქმა უნდა, ეს ცვლილებები დამატებითი სტიმული იქნება ინვესტორებისთვის და ხელს შეუწყობს საქართველოში ისეთი დიდი კომპანიების შემოსვლას, როგორცაა ე.წ. მულტინაციონალური კომპანიები, რადგან უფრო მეტი გარანტია იქნება, რომ მათი უფლებები დაცულია საქართველოში“, – აცხადებს გენადი არველაძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობაში ცვლილებები მოხდება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების კუთხითაც. ასოცირების შეთანხმების შესაბამისი თავი ადგენს ინტელექტუალური საკუთრების საქმისწარმოებისას საჭირო პროცედურულ ნორმებს, განსაზღვრავს ამ მიმართულებით სასამართლო ორგანოების უფლებამოსილებებსა და მათ მიერ განსახორციელებელ უზრუნველყოფის ღონისძიებებს. საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვა აღნიშნულ დებულებებთან, რაც ხელს შეუწყობს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ეფექტურ და დროულ აღსრულებას.

ter the market of any given country. Normally, when conducting the market analysis, the representatives of large businesses are also analyzing the level of protection for their property rights. The Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia believes that the amendments planned in the direction of intellectual property protection will revitalize the investment environment in the country.

“In the process of carrying out business activities, it is important for the investors to make sure that their intellectual property is adequately protected on the Georgian market against any violation. As a result of implementation of the agreement, Georgian legislation will come closer to the European one that will promote the establishment of an efficient system of protection and enforcement of intellectual property rights, as well as production and commercialization of innovative and creative products”, – says Mikheil Janelidze, Deputy Minister of Economy and Sustainable Development of Georgia.

“Of course, these amendments will be an additional incentive for the investors and will promote the entry of large companies into Georgia, such as multinational companies, because there will be more guarantees that their rights will be protected in Georgia”, – Genadi Arveladze, the head of the Department for Foreign Trade and International Economic Relations of the same ministry, said.

It should be noted that certain legislative amendments are also planned in terms of enforcement of intellectual property rights. A relevant chapter of the Association Agreement sets necessary procedural norms for implementation of intellectual property rights, defines judicial powers and provisional measures to be applied by the judiciary. Georgian procedural legislation will be aligned with these provisions, thus promoting effective and timely enforcement of intellectual property rights.

„მონანიებდან“ ოსკარამდე – მერაბ ნინიძის კინოპორტრეტი

FROM “THE REPENTANCE” TO OSCAR – MERAB NINIDZE’S FILM PORTRAIT

ლიკა ბერაია

LIKA BERAIA

17 წლის ასაკში ითამაშა როლი, რომელიც 30 წლის შემდეგაც არავის ავინყდება. მაყურებელმა გამოჩენისთანავე შეიყვარა ნიჭიერი ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც დროსთან ერთად უფრო მეტად ძვირფასი, წარმატებული და საამაყო ხდება.

სცენაზე და კინოში ერთნაირი წარმატებით შესრულებული როლები და რადიკალურად განსხვავებული ხასიათის პერსონაჟები. არაერთი საერთაშორისო ჯილდო, აღიარება სამშობლოსა და უცხოეთში. ოსკაროსანი ფილმის მთავარი როლის შემსრულებელი ქართველი მსახიობი მერაბ ნინიძე 20 წელზე მეტია ვენაში ცხოვრობს და დიდ კინემატოგრაფიაში მოღვაწეობს. მისი დებიუტი კი თენგიზ აბულაძის „მონანიებაში“ შედგა.

„თორნიკე არავიძის როლი გეგა კობახიძეს უნდა ითამაშა, თუმცა, „თვითმფრინავის ბიჭების“ ტრაგიკული ამბის შემდეგ, როლზე კასტინგი გამოცხადდა. მივედი, მაგრამ არ ვიცოდი რა როლი უნდა მეთამაშა, ფილმის სცენარი მკაცრად იყო გასაიდუმლოებული და მხოლოდ მას შემდეგ წავიკითხე, რაც როლზე დამამტკიცეს. როცა წავიკითხე, მივხვდი, რომ ეს არ იქნებოდა ჩვეულებრივი ფილმი, თუმცა, იმ სიმძიმესაც ვერ ვგრძნობდი, რასაც ჩემი გმირი გრძნობდა. მივდიოდი გადაღებებზე, ვმუშაობდი და იქვე ვტოვებდი თორნიკე არავიძეს, ალბათ იმიტომ, რომ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი ან იმიტომ, რომ თეატრში კარიერის გაგრძელებაზე ვფიქრობდი, შეიძლება იმიტომაც, რომ სინამდვილეში თორნიკე არავიძე მე საერთოდ არ მგავს – მე არასოდეს ვყოფილვარ დეპრესიული და არ მიფიქრია თვითმკვლელობაზე. ყველაფრის მიუხედავად, ეს ფილმი და როლი იმდენად მნიშვნელოვანი გახდა, რომ არასდროს მიცდია გავქცეოდი ან

At the age of 17 he played a role, which is still popular even after 30 years. The audience immediately fell in love with a young talented boy, who becomes even more valuable, successful and exemplary with years.

Equally successful film and theatre roles and radically different characters, numerous international prizes, recognition in homeland and abroad – the main character of the Academy Award winning film, Georgian actor Merab Ninidze lives in Vienna for over 20 years and works in great cinematography. His debut was made in the film “the Repentance” by Tengiz Abuladze.

“Gega Kobakhidze was supposed to perform as Tornike Aravidze; however, after the tragic story of “aircraft guys”, a new casting was announced. I came, but I did not know which particular role I would have to play; the script was strictly classified and I could read it only after I was approved. When I read it, I understood that it would be unusual film, but I could not feel the gravity, which my character felt. So, I got involved in filmmaking, I was working, but leaving Tornike Aravidze on the ground, probably because I was very young or because I was thinking about continuation of my career in theatre, or else probably because actually Tornike Aravidze does not resemble me at all – I had never been depressive and I had never thought of suicide. Despite it, this film and this role became so important that I had never thought to run away from it or make the viewers forget Tornike Aravidze”, – Merab Ninidze says.


მაყურებლისთვის თორნიკე არავიძე დამევიწყებინა“, – ამბობს მერაბ ნინიძე.

„მონანიება“ მერაბ ნინიძის კარიერის მწვერვალი არ ყოფილა. 2003 წელს, ოსკარის ლაურეატი გახდა რეჟისორ კაროლინა ლინკის ფილმი „არსად აფრიკაში“, თუმცა, არც რეჟისორი და არც მთავარი როლის შემსრულებელი დაჯილდოებაზე არ გამოცხადდნენ. მხოლოდ ოსკარი კი არა, მერაბ ნინიძეს უამრავი უმაღლესი ჯილდოს გადაცემის ცერემონიალი აქვს გამოტოვებული.

„იმ პერიოდში, როცა ოსკარების გადაცემა იყო, ამერიკამ დაიწყო ერაყის დაბომბვა, რის გამოც დაიკეტა აეროპორტები. მე კი საქართველოში ვიყავი და ერთი დღით მაგვიანდებოდა ჩასვლა. თუმცა, ძალიან რომ მომენდომებინა, ალბათ, ფეხითაც ჩავიდოდი. ვიფიქრე, რომ ოსკარი კიდევ იქნება და სხვა დროს აღარ გავაცდენ. როცა „მონანიებამ“ აიღო „ოქროს პალმის რტო“, ისეთი პატარა ვიყავი, ჩემი იქ ყოფნა არც კი განიხილებოდა. კიდევ ერთ დაჯილდოებაზე კი ვერ მოვხვდი იმიტომ, რომ პროდიუსერებს ჩემი გაფრთხილება დაავიწყდათ. იყო შემთხვევა, როცა ლონისძიებაზე იდგა ცარიელი სკამი და ზედ ჩემი სახელი ეწერა, თურმე, ყველა კითხულობდა – რატომ არ არისო. ჩემი მეგობრები ხუმრობენ – არყოფნით უფრო მეტი ყურადღების მიქცევას ცდილობო. მაგრამ, მაინც ძალიან მაგარია იყო ოსკაროსანი ფილმის მთავარი როლის შემსრულებელი...“

“The Repentance” was not the peak of Merab Ninidze’s career. In 2003 the film “Nowhere in Africa” by Caroline Link won an Academy Award for Best Foreign Language Film. However, neither the director, not the leading actor appeared at the award ceremony. Besides Oscar, Merab Ninidze did not attend a lot of other award ceremonies.

“In a period, when the Academy Award Ceremony was planned, the United States launched Iraq bombing and the airports were closed. I was in Georgia and I was delayed for a day. However, if I had tried my best, probably I would have reached the destination by foot. I thought that there would be other Oscars some other time and I would attend them. When the Golden Palm was awarded to “the Repentance”, I was so small that my attendance was not even discussed. I was also absent at another award ceremony, because the producers forgot to notify me. There was a case, when an empty chair with my name was standing at the event and everyone was asking why I was absent. My friends are joking that I am trying to attract more attention by my absence. Nevertheless, it is great to be the leading actor in Oscar winning film... ”



ფილმებს, რომლებშიც ითამაშა, მერაბ ნინიძე არ უყურებს. მაშინ კი, თუ შემთხვევით ნააწყდა, მერაბ ნინიძე ძალიან კრიტიკულია საკუთარი როლების მიმართ. „ახალგაზრდობაში გადაღებულ ფილმებს ხანდახან ვუყურებ, ის თითქოს მე არ ვარ და, შესაბამისად, არც ისეთი კრიტიკული ვარ, როგორც ბოლო პერიოდის როლების მიმართ“, – ამბობს მსახიობი.

საოცნებო როლი ჯერ არ უთამაშია, თუმცა მიიჩნევს, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ორგანული მისთვის „ჰამლეტის“ შესრულება იყო. „ეს როლი ძალიან ემოციური იყო ჩემთვის, როდესაც ჰამლეტს თამაშობ, ძნელია ადვილად გამოხვიდე როლიდან...“

მერაბ ნინიძემ პირველი როლი უცხოეთში 1992 წელს შეასრულა, დიდ ბრიტანეთში გაცვლითი პროგრამით ჩასული სტუდენტი ერთ წელიწადში ვენაში მიდის და იქ აგრძელებს კარიერას, თუმცა, ემიგრაციაში ყოფნა მსახიობისთვის მარტივი არ აღმოჩნდა.


„თურმე, როდესაც თბილისში ცხოვრობ, ვერ ხვდები და ვერ აფასებ როგორ გიყვარს შენი ქალაქი და შენი გარემოცვა. ვენაში ყოფნის დროს მთელი დღეები თბილისზე ვლაპარაკობდი, ვცდილობდი



Merab Ninidze does not watch the films in which he has played. If he occasionally comes across them, Ninidze is very critical towards his roles. “Sometimes I watch the films shot in my youth; it seems that those characters are not me and therefore I am not so much critical like towards my recent roles”, – the actor says.

He has not played the role of his dreams yet, though he supposes that “Hamlet” was one of the most important and organic roles for him. **“This role was very emotional for me; when you play “Hamlet”, it is difficult to get out of the role easily...”**

Merab Ninidze first performed abroad in 1992. A student, who arrived in the Great Britain through an exchange program, leaves for Vienna a year later and continues his career there. However, emigration proved difficult for the actor.

“It appears that when you live in Tbilisi, you cannot understand and appreciate how you love your native city and your environment. During my stay in Vienna, we were spending whole days in talking about Tbilisi;





რაც შეიძლება მეტჯერ მეხსენებინა, ძალიან მენატრებოდა, მაგრამ 90-იან წლებში საქართველოში შექმნილი მდგომარეობის გამო, დიდი ხნით გადაიდო ჩემი ჩამოსვლა. ვმუშაობდი ვენაში და საქართველოში ახლობლებს ფულს ვუგზავნიდი, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ჩემთვის. შემდეგ, თანდათან გაჩნდა სხვა შეთავაზებებიც. ემიგრაციაში რომ არ წავსულიყავი, არ ვიცი ახლა რა იქნებოდა ან ვინ ვიქნებოდი...”

უცხოეთში მოღვაწეობს, თუმცა, ცდილობს ქართველი რეჟისორების ფილმებშიც მიიღოს მონაწილეობა. ფიქრობს, რომ საქართველოში ბევრი ნიჭიერი რეჟისორია და ქართულ კინოს პერსპექტივა ნამდვილად აქვს. „როდესაც ჩამოვდივარ საქართველოში, სულ ვცდილობ, იმ ცოტა დროში რასაც მოვასწრებ გავაკეთო – შევხვდე მეგობრებს, გულშემატკივრებს, პატარ-პატარა როლებს ვთამაშობ, ხანდახან ლექსებს ვკითხულობ ლიტერატურულ სალონებში. ასეთი კავშირი ჩემს ქვეყანასთან ჩემთვის ძალიან ძვირფასია. ახალი შემოთავაზებებიც მაქვს საქართველოდან. შეიძლება დიდი ხნითაც ჩამოვიდე, მაგრამ როცა პენსიაზე გავალ, აუცილებლად ჩამოვალ და ვიცხოვრებ საქართველოში. აქტიური პენსიონერი ვიქნები, გავაკეთებ მასტერ-კლასებს და ვასწავლი ახალგაზრდებს, გავუზიარებ ჩემს გამოცდილებას, თუ ეს ვინმეს დასჭირდება.“

I tried to mention it as much as possible, because I missed it so much. But owing to the situation in the nineties in Georgia, my arrival was postponed for a long time. So, I started working in Vienna and sending money to my relatives that was an important factor for me. Later, some new proposals emerged. If I had not emigrated, I do not know what would have happened to me... ”

He works abroad, though tries to play in the films of Georgian directors. He thinks that there are a lot of talented directors in Georgia and that Georgian cinematography really has a perspective.

“When I arrive in Georgia, I always try to do what I will manage to do in that short period of time – to meet my friends, fans, to play small roles, sometimes I read poems at literary saloons. Such relationship with my country is extremely precious for me. I have new proposals from Georgia. Maybe, I will arrive for a long time, but when I retire, I will definitely arrive and live in Georgia. I will be an active pensioner, I will arrange master classes and teach the youth, as well as share my experience if anyone needs it.”

დამზადებულია საქართველოში MADE IN GEORGIA

დალიე ხილი!
ბასინჯე ხარისხი!

DRINK FRUIT!
TASTE QUALITY!

სოფო კვინტრადზე
SOPHIE KVINTRADZE



სულ რაღაც 5-წლიანი ისტორიის მიუხედავად, ბრენდი „კულა“ წარმატებით დამკვიდრდა ქართულ ბაზარზე. გორის საკონსერვო ქარხანა, რომლის მიზანია მხოლოდ ნატურალური პროდუქციის წარმოება, 2009 წელს გაიხსნა. საწარმოს დაარსება ქართული და უკრაინული ინვესტიციებით მოხდა. თავდაპირველად, უკრაინელმა ინვესტორებმა შეაფასეს საქართველოს პოტენციური სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში, შეისწავლეს საინვესტიციო გარემო და გადაწყვიტეს, რომ წარმოება შიდა ქართლში დაეწყო. არჩევანი განპირობებული იყო იმით, რომ ეს რეგიონი მძლავრ აგრარულ სექტორად ითვლება სოფლის მეურნეობის პროდუქტების, კერძოდ, ხილის, ბოსტნეულისა და სხვა კულტურების წარმოებაში. შიდა ქართლში ხელსაყრელი ეკოლოგიური და კლიმატური პირობებია, ხოლო სამეურნეო მიწების მორწყვა მთის მდინარეების წყლით ხორციელდება.

პირველ წელს კომპანია ორ ბრენდს მოიცავდა – ხილის და ბოსტნეულის ეკოლოგიურად სუფთა წვენებს, რომელსაც „Kula“-ს სახელით აწარმოებდა, ხოლო საბავშვო ნატურალურ წვენებს კი – „Kula baby“-ის სახელწოდებით. 2010 წლიდან კომპანიამ დაიწყო მურაბების, ჯემების, ტყემლების, სანებლების, მწნილების, ტომატპასტის, ცივი სადილების, მაშარაფისა და სხვა სახის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება. 2010 წლის ბოლოსთვის, კომპანია 150-ზე მეტი დასახელების ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს აწარმოებდა.

კომპანიას სეზონურად დასაქმებული ჰყავს 350-ზე მეტი თანამშრომელი, ხოლო მუდმივად – 185.

სტარტი რომ წარმატებული აღმოჩნდა, ამას ის უამრავი ჯილდოც მოწმობს, რაც გორის საკონსერვო ქარხანას

Despite the only five-year history, the brand “Kula” has successfully gained its foothold on the Georgian market. The Gori Feeding Cannery was opened in 2009 with the goal to manufacture only natural products. The cannery was established with Georgian and Ukrainian investments. Initially, Ukrainian investors evaluated Georgia’s potential in producing agricultural goods; they studied investment environment and decided to launch production in Inner Kartli region. They made this choice largely because this region is considered a powerful agrarian sector in production of agricultural goods, particularly fruit, vegetable and other crops. Ecological and climatic conditions are favorable in Inner Kartli, while mountain river water is used to irrigate agricultural plots.

During the first year of its existence, the company included two brands. The first one, *Kula*, produced ecologically clean fruit and vegetable juice. The other, *Kula Baby*, produced natural juice for children. From 2010 the company started producing jams, Tkemali (Georgian sour plum sauce), various sauces, marinades, tomato paste, cold dishes, pomegranate sauce and other products. By the end of 2010 the company had produced more than 150 sorts of ecologically clean products.

The company hires over 350 persons seasonally and 185 persons permanently.

The company’s success is confirmed by numerous awards, including international ones, received by the Gori Feeding Cannery. During the very first year of its activity the company became the winner in two nominations - Successful New Brand 2010 and Golden Brand

აქვს მიღებული, მათ შორის ბევრი საერთაშორისო ჯილდოა. პირველივე წელს კომპანია „ნარმატებული ახალი ბრენდი 2010“-ის და „ოქროს ბრენდი 2010“-ის მფლობელი გახდა. 2011 წელს პროექტ „მერკური 2011“-ის გამარჯვებული გახდა ნომინაციაში „ეკოლოგიურად სუფთა ქართული პროდუქტი“. „კულას“ არაერთი ჯილდო აქვს მიღებული ქველმოქმედებაში შეტანილი აქტიური წვლილისთვისაც.

„კომპანია „კულა“ არის საქართველოში ერთადერთი კომპანია, რომელიც აწარმოებს 200-ზე მეტი დასახელების საკონსერვო პროდუქციას და ამისათვის იყენებს მხოლოდ ადგილობრივ ნედლეულს. მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა სარგებლობს ჩვენი პროდუქციით: ნატურალური წვენებით, მურაბებით, ჯემებით, კომპოტებით, სანებლებით, ტომატპასტით, მწნილებით და სალათებით. აქედან გამომდინარე, საქართველოს მოსახლეობა კარგად იცნობს კომპანია „კულას“ პროდუქტს. ჩვენი ძირითადი სტრატეგიაა ვაწარმოოთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ადგილობრივი ნედლეულიდან და შევინარჩუნოთ პროდუქციის ხარისხი“, – ამბობს „გორის საკონსერვო ქარხნის“ გენერალური დირექტორი ვანო გოგლიძე.

როგორც კომპანიის მენეჯმენტში განმარტავენ, მათთვის მნიშვნელოვანია მომხმარებლის ნდობა, ამიტომ მუდმივად ცდილობენ ახალი პროდუქტების დამატებით,

2010. In 2011 the company won the project Mercury 2011 in the nomination Ecologically Clean Georgian Product. The company *Kula* has received a number of awards for its significant contribution to charitable activities.

“Kula is the only company in Georgia, which produces over 200 types of canned products and uses exclusively local raw material in the production. Population actively consumes our products: natural juices, jams, stewed fruit, sauces, tomato paste, marinades and salads. Thus, the Georgian population knows Kula products very well. Our key strategy is to produce ecologically clean products from local raw materials and simultaneously to maintain the quality of our products”, – Director General of the Gori Feeding Cannery *Kula*, Vano Goglidze says.

As the company management explains, consumer trust is extremely important for them; therefore, they spare no efforts to maintain and further expand the positions, which they have presently on the Georgian market, through producing new products, controlling the quality and advertising.

Each year the Gori Feeding Cannery processes 15-17 thousand tons of fruit and vegetables. Presently, *Kula* produces over 200 types of canned products, in-



GORI FEEDING CANNERY

Kula



TASTE THE QUALITY



100%
NATURAL
PRODUCT

ხარისხის კონტროლითა და რეკლამირებით შეინარჩუნონ და კიდევ უფრო გააფართოვონ ის პოზიციები, რაც ამჟამად უკავიათ საქართველოს ბაზარზე.

ყოველწლიურად გორის საკონსერვო ქარხნის სამი საამქრო 15-17 ათას ტონა ხილსა და ბოსტნეულს გადამამუშავებს. ამ დროისათვის „კულა“ აწარმოებს 200-ზე მეტი დასახელების საკონსერვო პროდუქციას. მათ შორის, ნატურალურ წვენებს როგორც მინის, ისე მუყაოს შეფუთვაში, ასევე, კომპოტებს, მურაბებს, ჯემებს, სალათებს, მწნილებს, სანებლებს.

2014 წლიდან კომპანიამ დაიწყო ნატურალური წვენების წარმოება შაქრის, წყლის, კონსერვანტებისა და კონცენტრანტების გარეშე. ასეთი პროდუქცია დიაბეტით დაავადებული ადამიანების ჯანმრთელობისათვის სრულიად უსაფრთხოა. „კულას“ წარმოებაში დიდი ადგილი უკავია ბავშვთა კვებას, ახლადგანურული წვენები და ხილფაფები ბავშვებისთვის 2 თვის ასაკიდან არის რეკომენდებული. კიდევ ერთი სიახლეა ტყემლისა და სანებლების წარმოება ენ. „დოი პაკის“ შეფუთვებში. ეტაპობრივად ფართოვდება სხვადასხვა საკონსერვო პროდუქციის ასორტიმენტი. კომპანია აწარმოებს პროდუქტს სხვადასხვა დაფასოებებში 200 მლ-დან 3 ლიტრის მოცულობამდე. გორის საკონსერვო ქარხანა პროდუქციას აწარმოებს არამარტო „კულას“ ბრენდით, არამედ კლიენტების მოთხოვნის შესაბამისად, სხვა ბრენდებითაც. ასეთებია: „Дедушка ДатиКо“, რომელიც გადის ისრაელში, „ტიფლისური“ და „Энциклопедия вкуса“, რომლებიც ძირითადად გადის რუსეთში, „Good food from abroad“, რომელიც იგზავნება ინგლისში და სხვ.

პირველად, „კულას“ პროდუქცია გავიდა ექსპორტზე უკრაინაში 2010 წელს. ამჟამად, კომპანიის პროდუქცია იყიდება ისეთ ევროპულ ქვეყნებში, როგორცაა: გერმანია, პოლონეთი, ჩეხეთი, შვეიცარია, საბერძნეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, ინგლისი, აშშ და ისრაელი. დღეს-ს ქვეყნებიდან პროდუქცია იგზავნება რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსში, ყაზახეთში, თურქმენეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში. როგორც მენეჯმენტში განმარტავენ, ექსპორტი მათი წარმოების მნიშვნელოვანი ნაწილია და ის მთლიანი გამოშვების 50 %-ს შეადგენს. კომპანია მუდმივად იძიებს ახალ ბაზრებს და ექსპორტის კიდევ უფრო გაფართოებას უახლოეს მომავალშიც გეგმავს.

„კულას“ მიზანია ბაზარზე ნატურალური პროდუქციის მწარმოებლის სახელი დაიმკვიდროს და უცვლელად კარგი ხარისხი შეინარჩუნოს. ხარისხის კონტროლი წარმოების განუყოფელი ნაწილია. კომპანიას დანერგილი აქვს „ISO“-ს და „HACCP“-ის სტანდარტები.

„ჩვენ, ნედლეულის მოყვანიდან ბოლო მომხმარებლამდე, ვაკონტროლებთ ყველა პროცესს. გვაქვს საკუთარი ბალები, სადაც მოგვყავს რამდენიმე სახეობის ხილი და ბოსტნეული. გარდა ამისა, ჩვენ ვყიდულობთ ნედლეულს მთელი საქართველოს მასშტაბით. გვაქვს საკუთარი ლაბორატორია მიკრობიოლოგიური განყოფილებით. შემოსული ნედლეული მყისიერად მონმდება ლაბორატორიის მიერ, ხოლო გადამამუშავების ყველა ეტაპზე გადის უსაფრთხოების ხარისხის კონტროლს. გამოშვებული პროდუქცია საბოლოოდ მონმდება მიკრობიოლოგიის შიდა სამსახურის მიერ და მათი დადებით

cluding natural juices, both in glass and carton packaging, as well as stewed fruit, jams, salads, marinades and sauces.

From 2014 the company started to produce natural juices without sugar, water, preservatives and concentrates. Such products are absolutely safe for people suffering from diabetes. Baby food takes an important place in Kula production. Fresh juice and purees are recommended for babies from the age of 2 months. Another novelty is production of Tkemali and sauces in the so-called 'Doypacks'. The assortment of various canned products is gradually expanding. The company manufactures its products in various packages from 200 ml to 3 liters. The Gori Feeding Cannery produces goods not only under the brand of *Kula*, but under other brands too, according to clients' requirements. These are: *Grandfather Datiko*, which is exported to Israel; *Tiflisuri*, which is basically exported to Russia; *Good Food from Abroad* – to England; *Encyclopedia of Taste* – to Russia, etc.

Kula products were first exported to Ukraine in 2010. Today the company's products are sold in a number of European countries, including Germany, Poland, Czech Republic, Switzerland, Greece, Latvia, Lithuania, Estonia, England, as well as in the United States and Israel. "*Kula*" products are also exported to the following CIS countries: Russia, Ukraine, Belarus, Kazakhstan, Turkmenistan, Armenia and Azerbaijan. According to the company management, export represents an important part of their production and it amounts to 50% of entire production. The company constantly gains market access and plans to further expand its exports in the near future.

The company's goal is to gain reputation of a natural product manufacturer on the market and to maintain unchangeably good quality. Quality control is an integral part of production. The company has introduced ISO and HACCP standards.



ფოტო: shutterstock.com
Photo: shutterstock.com

პასუხის შემდეგ გადის სარეალიზაციოდ. ყველა პროდუქტზე გაიცემა სერტიფიკატი. ასევე, დანერგილი გვაქვს კონტროლის სისტემა, სადაც ადვილად ისაზღვრება, თუ რომელი პროდუქტი რომელ დღეს და რომელი საწარმოს მიერ არის წარმოებული“, – განმარტავს „კულას“ გენერალური დირექტორი ვანო გოგლიძე.

კომპანიის გენერალური დირექტორი ფიქრობს, რომ კომპანიის წარმატება არა მხოლოდ მენეჯმენტის, არამედ თანამშრომელთა მთელი გუნდის დაუღალავი შრომის შედეგია. „ის, რომ უკვე მეოთხე წელია „კულა“ ლიდერ პოზიციებზეა ნატურალური პროდუქციის წარმოებაში, ჩვენ მიერ განხორციელებული სწორი სტრატეგიის დამსახურებაა. ჩვენ მუდმივად ვახორციელებთ ნედლეულისა და პროდუქციის ხარისხის კონტროლს, ასევე, ყოველთვის გვანტერესებს რას ფიქრობენ ჩვენი მომხმარებლები და ყოველთვის ვითვალისწინებთ მათ რჩევებსა თუ შენიშვნებს“, – აცხადებს ვანო გოგლიძე.

გარდა სამწარმოო საქმიანობისა, „კულა“ აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა სახის აქტივობებში. კომპანია ახორციელებს მრავალ სოციალურ პროექტს – ეხმარება საბავშვო ბაღებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს. საკონსერვო ქარხანაში მუშაობს 30-ზე მეტი იძულებით გადაადგილებული. „კულა“ გორის ხელბურთელთა გუნდის სპონსორია. ასევე, დახმარებას უწევს სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებს. კომპანია ხშირად ეხმარება სოციალურად დაუცველ, უნარშეზღუდულ, მზრუნველობამოკლებულ ადამიანებს. მუდმივად უდგას მხარში გორის უსინათლოთა საზოგადოებას.

“We are controlling each process, from growing raw materials to end consumers. We have our own orchards, where we grow many varieties of fruit and vegetables. In addition, we buy raw materials throughout Georgia. We have our own laboratory with a microbiology department. The received raw material is immediately examined by the laboratory, whereas at each stage of processing it undergoes safety and quality control. Ultimately, the manufactured products are examined by the internal service of microbiology department and in case of a positive answer, they are put on sale. A certificate is issued for each product. We have also introduced control system, which defines easily which product was produced when and by which enterprise“, – Kula Director General Vano Goglidze explains.

The Director General believes that the company's success is the result of tireless work of the entire team. “It is largely due to the correct strategy implemented by us that “Kula” maintains its leading positions in manufacturing of natural products for already four years. We constantly control the quality of raw materials and products. We are always interested in what our consumers think about our products and we always take their recommendations or remarks into consideration“, – Vano Goglidze says.

Besides industrial activities, Kula is actively involved in various other activities. The company is implementing

ფოტო: shutterstock.com
Photo: shutterstock.com



ფოტო: shutterstock.com
Photo: shutterstock.com



პერიოდულად, პროდუქციის რეკლამირების მიზნით, კომპანია სხვადასხვა სახის აქციებს ატარებს. მაგალითად, თბილისისა თუ რეგიონების სუპერმარკეტებში შესაძლოა კომპანიის წარმომადგენლებმა ახალი პროდუქტების დეგუსტაცია შემოგთავაზონ.

სულ ახლახან კომპანიამ 50-ზე მეტი დასახელების პროდუქტი დუბაიში, საერთაშორისო გამოფენაზე „Gulfood 2014“ წარადგინა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულმა დამთვალიერებლებმა დააგემოვნეს ქართული ტყემალი, სანებელი, აჯიკა და, ასევე, „კულას“ ნატურალური წვენები და მურაბები. კომპანიის წარმომადგენლებისთვის მნიშვნელოვანი იყო ეს გამოფენა, რადგან დუბაი ახლო აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ და სამხრეთ აფრიკის, ინდოეთის და დსთ-ს რიგი ქვეყნების ძირითადი სავაჭრო კარებია. ბაზარი მოიცავს 31 ქვეყანას.

კომპანია „კულას“ გენერალური დირექტორის ინფორმაციით, უახლოეს მომავალში გეგმავენ ახალი საწარმოს გამართვას, სადაც ხორცის კონსერვების წარმოება დაიწყება, ასევე, კომპანია გეგმავს გააფართოოს ნედლეულის ბაზა, შეიძინოს ან იქირაოს მიწები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და მოიყვანოს წარმოებისთვის საჭირო ხილი და ბოსტნეული. კომპანიის უახლოეს გეგმებში შედის ახალი საექსპორტო ბაზრების ათვისებაც.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ „კულა“ 2013 წლიდან საქპატენტში დარეგისტრირდა სასაქონლო ნიშნად ანუ დღეს „კულა“ უკვე რეგისტრირებული ბრენდია.

a lot of social projects – it assists kindergardens, internally displaced persons (IDPs). Over 30 IDPs work at the cannery. “Kula” is a sponsor of Gori volleyball team. It also renders assistance to various sport organizations. The company frequently helps socially vulnerable people, persons with disabilities, people outside of care, etc. It constantly supports the Gori Society for the Blind.

With the purpose of advertising its products the company periodically holds various events. For example, the company representatives may offer you to taste new products in various supermarkets of Tbilisi or regions.

Quite recently the company submitted over 50 products to the international exhibition “Gulfood 2014” in Dubai. Visitors from various countries of the world tasted Georgian *Tkemali*, sauces, *Ajika*, as well as *Kula* natural juices and jams. The exhibition was very important for the company, because Dubai is the key trade door for the Near East, North and South Africa, India and a number of CIS countries. The market covers 31 countries.

The Director General of the company *Kula* said that a new enterprise is planned to be opened in the near future, where canned meat will be produced. The company also plans to expand its raw materials base, to purchase or hire lands in various regions of Georgia and to grow fruit and vegetables necessary for the production. The company’s immediate plans are to gain access to new export markets.

Noteworthy enough, *Kula* was registered at Sakpatenti in 2013 as a trademark. Thus, today *Kula* is a registered brand.

ფრენსის გარის მეორე ვადა

FRANCIS GURRY'S SECOND TERM



ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტმა ფრენსის გარი გენერალური დირექტორის პოსტზე მეორე ვადით წარადგინა. გადაწყვეტილება, რომელიც კომიტეტმა კონსენსუსით მიიღო, უნდა დაამტკიცოს ისმო-ს გენერალურმა ასამბლეამ, რომელიც მიმდინარე წლის 8-9 მაისს საგანგებო სესიაზე შეიკრიბება.

ფრენსის გარი ნომინირებას გულითადი მადლობით გამოეხმაურა. „ვეფიქრობ, ინტელექტუალური საკუთრების სამყარო გამოწვევებით, მაგრამ, ამავე დროს, დიდი შესაძლებლობებითაა აღსავსე“ – აღნიშნა ისმო-ს გენერალურმა დირექტორმა და მთავარ მიზნად „ყველა წევრი ქვეყნისთვის შესაძლებლობების ზრდა“ დაასახელა.

გენერალური დირექტორის არჩევის პროცედურა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენციისა და ისმო-ს გენერალური ასამბლეის მიერ 1998 წელს დამტკიცებული წესით მიმდინარეობს. თავდაპირველად გენერალური დირექტორის პოსტზე 4 კანდიდატი იყო დასახელებული. ფრენსის გარის უპირატესობა 83 წევრი სახელმწიფოსგან შემდგარი საკოორდინაციო კომიტეტის მიერ კენჭისყრის პირველივე რაუნდში გამოიკვეთა. ისმო-ს მოქმედმა დირექტორმა 46 ხმა მიიღო და 26 ხმით გაუსწრო ჯოფრი ონიემას ნიგერიიდან. 10 ხმა მიიღო ალფრედო სუესკუმ ალფარომ პანამიდან, ხოლო 7 – ჯური სეილენტალმა ესტონეთიდან. პირველი რაუნდის დასრულების შემდეგ, კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება კონკურსიდან სხვა ნომინანტების ჩამოშორების და ფრენსის გარის კონსენსუსით წარდგენის შესახებ.

The Coordination Committee of the World Intellectual Property Organization (WIPO) nominated by consensus Francis Gurry for a second term as Director General of WIPO. The WIPO General Assembly will meet in an extraordinary session on May 8-9 to confirm the nomination.

Francis Gurry responded to his nomination with profound thanks. “I think that the world of intellectual property is a challenging one, but one with great opportunities,” the WIPO Director General said adding that the main goal “is to maximize opportunities for all member states.”

The process of electing a Director General is governed by the Convention Establishing the World Intellectual Property Organization and The Procedures for the Nomination and Appointment of Director General of WIPO, adopted by the General Assembly of WIPO in September 1998. The Coordination Committee, which comprises 83 member states, held one round of voting from a list which originally included four candidates. Francis Gurry prevailed in that round of voting with 46 votes, with 20 votes for Geoffrey Onyeama of Nigeria, 10 votes for Panama’s Alfredo Suescum Alfaro and seven votes for Jüri Seilenthal of Estonia. After the first round the Coordination Committee decided to withdraw other nominees and nominate Francis Gurry by consensus.

Francis Gurry is the fourth Director General of WIPO, following Dr. Kamil Idris of Sudan (1997-2008), Arpad Bogsch of the United States (1973-1997) and Georg Bodenhausen of the Netherlands (1970-1973). Francis



Francis GURRY
Director General

ფრენსის გარი ისმო-ს მეოთხე გენერალური დირექტორია კამილ იდ-რისის (სუდანი, 1997-2008), არპად ბოგჩის (აშშ., 1973-1997) და ჯორჯ ბოდენჰაუსენის (ნიდერლანდები., 1970-1973) შემდეგ. ფრენსის გარი ისმო-ში სხვადასხვა თანამდებობებზე 1985 წლიდან მუშაობს, გენერალურ დირექტორობამდე ის ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელის მოადგილე იყო.

2012 წელს ფრენსის გარიმ „IP საქართველოს“ ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა და საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პროგრესი ასე შეაფასა:

„საქართველო ისმოს წევრია 1994 წლიდან. მას შემდეგ მან მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ინტელექტუალური საკუთრების სისტემის რეფორმირების კუთხით. შეიქმნა და მუდმივად ვითარდება ინტელექტუალური საკუთრების თანამედროვე ეროვნული სისტემა. ქვეყანაში მოქმედებს ინტელექტუალური საკუთრების მარეგულირებელი კანონმდებლობა, ხოლო მთავრობამ შექმნა ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული უწყება – ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“. საქართველოში სულ უფრო და უფრო იზრდება საზოგადოებრივი ცნობიერება ინტელექტუალური საკუთრების, როგორც ეკონომიკური და კულტურული განვითარების სტრატეგიული ინსტრუმენტის პოტენციალის შესახებ. ისმო აფასებს საქართველოსთან არსებულ სამუშაო ურთიერთობას და გააგრძელებს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მისი განვითარების მხარდაჭერას.“




ფრენსის გარის უფლებამოსილების პირველი ვადა 2014 წლის სექტემბერში ეწურება. თანამდებობაზე დამტკიცების შემთხვევაში, ის ისმო-ს დირექტორის პოსტზე კიდევ 6 წლის განმავლობაში დარჩება.

Gurry has been holding various positions at WIPO since 1985. Before taking the post of Director General, he served as the Deputy Director of the World Intellectual Property Organization.

In 2012 Francis Gurry gave an exclusive interview to IP Georgia and assessed the progress done by Georgia in intellectual property protection as follows: **“Georgia joined WIPO in 1994 and has since made significant progress in reforming its intellectual property system. A modern national IP system was established and continues to be developed. National IP laws are in place and the Government has established a national IP authority – National Intellectual Property Centre (Sakpatenti). There is also growing awareness in Georgia about the potential of IP as a strategic tool for economic and cultural development. WIPO values its working relationship with Georgia and will continue to support its development in the field of IP.”**

Francis Gurry’s first term as Director General expires in September 2014. If approved by the General Assembly, he will serve the next six-year term.





დაგეგმილია საქპატენტის პოლიგრაფიაში
მის.: 0179, თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. 31
ტელ.: (+995 32) 291-71-82

PRINTED AT SAKPATENTI PUBLISHING HOUSE
ADDRESS: 0179 TBILISI, NINO RAMISHVILI STR. 31
TEL.: (+995 32) 291-71-82

www.sakpatenti.org.ge
info@sakpatenti.org.ge



